ზურაბ ქაფიანიძე

# კაცობრიობის პირველი ანბანი

ძველი აღმოსავლეთის სამყაროსეულ
ცივილიზაციათა სათავე)

თეიმურაზ მიბჩუანი

# მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა

# შუმერულ-ქართული (სვანური) პარალელები

თბილისი
1997

# ანოტაცია

აღმოჩენილია კაცობრიობის პირველი ანბანი, რომლის შემქმნელები არიან შუმერები. ქართველები ამ ანბანს ასომთავრულს უწოდებენ და იგი შორეულ წარსულში გამოყენებაშიც ჰქონდათ. იგი კოსმიური ანბანია, სადაც მთვარე და მზე ასო-ნიშნებადაა გამოყენებული. თითოეული ასო-ნიშანი (სულ 35) ფილოსოფიური წიგნიერით იკითხება. მათშია დაუნჯებული სამყაროსეული საიდუმლოებანი, მათ შორის მზისა და მთვარის კალენდარი წამების სიზუსტით, რაზედაც აქამდე მეცნიერებას წარმოდგენაც არ ჰქონდა. შუმერული ენა, რომელიც დაახლოებით ოთხი ათასი წელი მკვდარ ენად ითვლება, კვლავაც ცოცხლობს ქართული ენის უძველეს სვანურ-მეგრულ დიალექტებში. საქართველოს მთიანეთში მცხოვრები სვანები დღემდე ინახავენ შუმერულ ღვთაებათა პანთეონის რელიგიურ კულტებსაც. ამ უდიდესი აღმოჩენით არაერთ ცხოვრებისეულ საიდუმლოებას ეხდება ფარდა. ამასთანავე იგი დედამიწის ბინადართა შორის მშვიდობის, თანამშრომლობისა და ერთიანობის იდეოლოგიურ იარაღადაც იქცევა, რაც ნიადაგს აცლის ყოველგვარ პოლიტიკურ თუ რელიგიურ დაპირისპირებებს.

რადგანაც ფინანსური ხელმოკლეობის გამო ნაშრომის მოცულობა შეზღუდულია, ვერ მოხერხდა სისტემის მთელი რიგი ნიუანსებისა და ფორმულებისათვის ვრცელი განმარტებების მიცემა.

*რედაქტორი* **გიორგი ციციშვილი**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

© ზ. ქაფიანიძე, თ. ჭანტურია, 1997.



## ქაფიანიძე ზურაბ ვასოს ძე

ფილოლოგი, დააარსა და გამოსცა სამეცნიერო გაზეთი „შუმერი“, წიგნი „შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული“, პლაკატები: „კაცობრიობის ანბანური გაერთიანების ახალი ცხრილი“ და „კაცობრიობის პირველი ანბანი, ანბანური მზისა და მთვარის კალენდარი“. დააარსა სამეცნიერო ცენტრი „შუმერი“. 40 წლის დაძაბული მუშაობის შედეგად ახსნა ძვ. წ. V-III ათასწლეულების შუმერული თიხის ფირფიტები და ბეჭდები, თიხის შუმერული ჭურჭლის მოხატულობა და სარკოფაგთა წარწერების ხატობრივი სისტემა. აღმოაჩინა ანბანის რიცხვითი საზომრივი და კოსმიური სისტემის ფორმულა, რითაც ცხადი გახდა უძველესი ქართული ასომთავრულის შუმერული წარმომავლობა, ჩამოაყალიბა კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობის სისტემები და აღადგინა ძველი წელთაღრიცხვის 5604 წლის შუმერული კალენდარი, რომელშიც ყველაფერი წამების სისტემითაა განსაზღვრული. არის საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



## მიბჩუანი თეიმურაზ შიოს ძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ სოხუმის ფილიალის ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, 250-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. ძირძველი ქართველური ენის-სვანურის მეშვეობით გამოავლინა 200-ზე მეტი შუმერულ-ქართული ლექსიკური ერთეულის იდენტურობა და სვანეთში შუმერული რელიგიური კულტების არსებობის ფაქტი.

ზურაბ ქაფიანიძე

# კაცობრიობის პირველი დამწერლობა, შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული

## (ძველი აღმოსავლეთის სამყაროსეულ ცივილიზაციათა სათავე)

მიმართვა მსოფლიოს მეცნიერებს, აღმოსავლეთმცოდნეებს, მკვლევარებს, არქეოლოგებს, ანბანთმცოდნეებს, იუნესკოს

აღმოჩენილია შუმერების ანბანი,
დედამიწაზე სამყაროსეული ცივილიზაციის პირველი მკვიდრი,
აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციათა სათავე.

აღმოჩენილია ანბანის რიცხვიერი ფორმულა, რომელიც საოცარი ზეწესრიგით განაგებს ასოთა მოხაზულობას, რიცხვებს, მათემატიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას.

ანბანის ხაზობრივი სისტემის შესახებ პირდაპირ მოუწოდებდა დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი: „ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათანი განვითარება

შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთი რთული საკითხების გადაწყვეტას ლამობდნენ, როგორიც ქართული ანბანის სადაურობაა... ვინაც ქართული ანბანის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი საგანგებოდ განხილული ქონდა. ამ საკითხის გადასაწყვეტად არ შესაფერისად აღჭურვილი არ იყო არც ქართულისა და არც სხვა ერთა დამწერლობის გრაფიკული განვითარების ცოდნით". ჩვენმა მიგნებულმა ფორმულამ ჩვენი ანბანის ხაზობრივი სისტემაც გაარკვია და სხვისიც. ამავე ფორმულით დადასტურდა უძველესი ლურსმული წერის რვეულები და მისი ხაზობრივი სისტემა — ამოცნობილია მსოფლიო შუმეროლოგიისათვის ამოუცნობი ძვ.წ. 5000 წლის შუმერული თიხის ფირფიტები და ბეჭდები.

ამ ანბანშია სამყაროსეული ღვთაებათა პანთეონი — საკრებულო, რომლისგანაც შეიქმნა დედამიწაზე კაცთა მოდგმის ყველა რელიგიური მიმდინარეობა.

ქართული ასომთავრული ანბანი შუმერების ანბანია!

შუმერების ანბანში მთვარე და მზე ასო-ნიშნებადაა: ☾ —ა ასო-ნიშანს ანი, მთვარის უძველესი სახელი ჰქვია, ◯ -დ ასო-ნიშანს დონი ჰქვია, მზეა, ოღონდ უწიგნურმა უძველესმა ხალხებმა სიტყვებად გადაიღეს, სიტყვა „მთვარეს" კი ვერ წერდნენ, პირდაპირ მთვარეს ხატავდნენ, ასევე — მზეს, ასოები არ იცოდნენ, ვერ წერდნენ და ხატავდნენ. ასე შექმნა გაუნათლებელმა მსოფლიომ ხატოვანი დამწერლობა, რომელსაც დღევანდელი კაცობრიობა და მისი მეცნიერები დასაწყის პირველდამწერლობად მიიჩნევენ. ეს რომ ასე არ არის და ჩვენი აღმოჩენაა სწორი, ამას ადასტურებენ ძვ.წ. 5600 წლის შუმერული თიხის ფირფიტები, ჭურჭელი, თიხის და რკინის ბეჭდები, სარკოფაგთა წარწერები, ამავე დროს შუმერული ანბანის ასო-ნიშნები; რომლებიც მსოფლიოს მეცნიერებს ასოებად კი არა, სიტყვებად მიაჩნიათ.

ჩვენი აღმოჩენები საოცარი სიზუსტით ეუღლება უდიდესი ამერიკელი მეცნიერის სემიუელ ნ. კრამერის კვლევას, მის ნააზრევს, რომელიც გადმოცემულია წიგნში „ისტორია იწყება შუმერიდან", ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ანბანი იწყება შუმერიდან და დღემდე ვერც ერთმა მეცნიერმა მსოფლიოში ვერ შეძლო დაემტკიცებინა ეს, იმიტომ, რომ ქართული ასომთავრულით, იგივე შუმერების ანბანით, არავის არასოდეს არ გადაუსინჯავს შუმერთა სიძველეები: მათ მიწაზე გაჩენისთანავე წამოჰყვეათ ანბანი, ის რკინასავით, რომელიც დედამიწაზე არ მოიპოვება, სამყაროსეული ლითონია, სახე-

ლად „ამერიკიუმ" ქვია და 5-ჯერ ოქროზე და 40-ჯერ ვერცხლზე ძვირია.

შუმერების ანბანი უხვად აღმოჩენილი და აღნიშნა ამ ხაზობრივი ფორმულით, რომელიც შეინახეს საქართველოს კავკასიონის მთის საცავებმა და ასკარის სიძველეთა მუზეუმში დაცულმა ხელებმა უძველესმა ფურცელმა თიხამ, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი მელარტი ძვ.წ. 6500—5000 წლებით ათარიღებს და 900 წლით ასწრებს ჩვენეულ დათარიღებას, 5000 წელს, მაგრამ ეს ჩვენს მოსაზრებას უფრო აძლიერებს, 5000 წელი კი ზუსტად ემთხვევა.

მსოფლიოს მეცნიერთაგან ასაკობრივ და ხაზობრივ ასეთ დამთხვევას ვერავინ დაიქადნის.

აქ, კავკასიონის მთის საცავებში, გადარჩა სამყაროსეული ცივილიზაციის ის უდიდესი კულტურა, რაც მთელ აღმოსავლეთში რელიგიამ დამარხა. ეს უძველესი კულტურა საქართველოში ქრისტიანობამ გაანადგურა, მთელ მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში კი მაჰმადიანურმა მოსპო იგი.

თავდაპირველ უძველეს შუმერულ სიტყვებს საოცარი სიზუსტით ხსნის საქართველოში შემონახული ენები: მეგრული, სვანური და თავად ქართული (ეს ენები და ხალხი, მკვდარი და წაშლილი რომ ჰგონიათ მსოფლიოს მეცნიერებს, აქ, საქართველოში, შემონახული და ცოცხალია).

ჩვენი გამოკვლევების მიხედვით სულ სხვა სახეს იღებს მსოფლიოს ხალხთა ანბანური გავრცელების ცხრილი.

ანბანში რომ სამყაროსეული ცივილიზაციაა, მტკიცდება მისი მზისა და მთვარის კალენდრით, რომელიც დედამიწის ოთხ დროს წამების სიზუსტით ანგარიშობს და ისეთი სიზუსტითაა განაწილებული, რომლის მსგავსი თანამედროვე კაცობრიობამაც არ იცის.

და ბოლოს: შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული, მზისა და მთვარის ასპარეზ წოდებული, სამყაროსეული ცივილიზაციის ფორმულით არის შედგენილი და დედამიწაზე ადამის მოდგმის განათლების სათავეა. ამ ანბანური განათლების საიდუმლოებათა ამოცნობა, გაგება და მიგნება სულ სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის ისტორიას და აზროვნებას.

შუმერების — იგივე ქართული ასომთავრული — ანბანი აღმოსავლეთის ყველა უძველეს ცივილიზაციათა სათავეა, რომლის გაცნობა მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნეებს აძლევს საშუალებას ახსნან ჯერ ამოუხსნელი ყველა საიდუმლოება, რითაც სავსეა

კაცთა მოდგმის დღემდე ბოლომდე ამოუცნობი პირველი სიძველეები.

ჩვენი აღმოჩენები ითხოვს თავიდან გადავხედოთ მთელ არქეოლოგიურ მასალას, რაც კი კაცობრიობას დედამიწის სიღრმეებში უპოვნია შუმერების შესახებ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲘᲑᲩᲣᲐᲜᲘ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲥᲐᲤᲘᲐᲜᲘᲫᲔ

# ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲓᲐᲔᲓᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ:

1. ხაზობრივი საწყისი ფორმულა — ბიქილა — რაჭის ყოფა-ცხოვრებაში, მის ადათსა და წესშია შემონახული ცხობით და თამაშით. სახე ერთნაირი აქვს გამოცხობილსაც და დახაზულსაც;
2. რაჭული, მცხეთური და შუმერული უძველესი ბეჭდების ზუსტი ერთნაირობა. ეს ხის ბეჭდები რაჭაში ინახება, წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოაჩენენ, ცხობის დღესასწაულზე, რომელსაც ბიკიაობა ჰქვია. მცხეთაში ნაპოვნი ძვ.წ. 3000 წლის კერამიკის ბეჭდები და სტამბოლში შუმერების მუზეუმში დაცული ძვ.წ. 5000 წლის რკინის ბეჭდები აბსოლუტურად ერთნაირია;
3. უძველესი საოცრების, ოქროს დიადემის გაშიფვრა, რომლის შინაარსი არავინ იცის, ასომთავრული ანბანის გარდა;
4. ასო-ნიშნების სრულყოფილი ფორმულის მიგნება;
5. ფორმულით ასოთა ხაზობრივი სისტემის მიგნება;
6. ასო-ნიშნების ფორმულისეული რიცხვითი სისტემა;
7. ფორმულით ასოთა მოხაზულობის კოსმიური სისტემის მიგნება;
8. ლურსმული წერის ხაზობრივი სისტემის მიგნება;
9. ლურსმული წერის რვეულების მიგნება;
10. ძვ.წ. 5000 წლის შუმერული თიხის ფირფიტების ხაზობრივი სისტემის აღმოჩენა;
11. ძვ.წ. 5000 წლის შუმერული თიხის ფირფიტების და ბეჭდების წაკითხვა, რომელზეც პირდაპირ წერია ასომთავრულის ასო-ნიშნები;
12. ნუქურთმების წაკითხვა და მათი ხაზობრივი სისტემის

მიგნება, რომლებიც მთავრულის ასო-ნიშნებითაა შედგენილი;

13. რაც ყველაზე საოცარია, საქართველური ცივილიზაციის ფორმულით წაკითხვა და ზეწესრიგი, ანბანში ასოთა, ხაზთა, რიცხვთა და ასტრონომიულ სისტემათა სასწაულებრივი ურთიერთკავშირი;

14. ხეთურ-ქართული ფორმულის ასაკობრივი და ხაზობრივი დამთხვევა, ძვ.წ. 6500 და 5600 წლები;

15. საქართველოდან შუმერებს ნამოყოლილი ლითონით გაკეთებული ბეჭედი — ინახება სტამბოლის შუმერების მუზეუმში: დათარიღებულია ძვ.წ. 5000 წლით, რაც პირდაპირ ეუღლება ამირანის თქმულებას, რომელშიც ნახსენებია რკინის ჯაჭვი, ურო, პალო, გრდემლი, კვერი და მჭედელი.

ამათთვის სასაცილოა ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა და ა.შ;

16. ძვ.წ. 5000 წლის სიძველეებში Ⴀ, Ⴍ, Ⴋ და ბევრი სხვა ქართული ასო-ნიშნების აღმოჩენა;

17. ჩვენი კვლევა-ძიება, გარდა ამანისა, უდიდეს შუმეროლოგთა აღმოჩენებს ეუღლება და საოცარი სიზუსტით ემოწმება კრამერის მეცნიერულ ნაშრომს, რომელმაც დაასრულა მსოფლიოს ყველა შუმეროლოგის აზრი და რომელსაც „ისტორია იწყება შუმერიდან" ჰქვია;

18. როგორც ხეთურ-ქართული ფორმულა დადგა ერთად, ასევე უახლესმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა აამაღლა ჩვენი გადასახედი ქართულ (სვანურ)-შუმერულ სიტყვათა და სალოცავთა ურთიერთობით;

19. ამის შემდეგ თუ კი რაიმე ცარიელი ადგილი რჩება შუმერულ-ქართულის ურთიერთობაში, ამას მეგრული ენა ავსებს და ამთავრებს: მეგრულად „ქიანა", შუმერულად „ანქი" ერთსა და იმავეს — „ქვეყანას" ნიშნავს;

20. ამ მიგნებათა სამირკველია დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ასოთმცოდნეობა — „პალეოგრაფია";

21. შემდეგ რამაზ პატარიძის წიგნი „ქართული ასომთავრული" თავისი დიდი აღმოჩენებით:

ანბანის ღვთაებათა საკრებულო — პანთეონი;

წილადი ანბანში;

მზისა და მთვარის კალენდარი;

ასო-ნიშანთა სრულყოფილება;

რიცხვით და რიცხვით მნიშვნელობათა ჰარმონია;

მართკუთხა სამკუთხედი და ასე შემდეგ.

22. ჩვენმა ფორმულამ კი სისტემაში მოიყვანა და დაამოწმა ბატონ რამაზ პატარიძისა და ჩვენი მიკვლევები:

23. და ბოლოს, „მსოფლიო დამწერლობის ისტორია", რაც არც ერთმა მეისტორიემ არ იცის:

24. რაც ჩამოვთვალე, შეიძლება ყოველივე დავასაბუთო და თვალნათლივ გაჩვენოთ, ეს კი მაძლევს უფლებას და საშუალებას განვაცხადო: ა ნ ბ ა ნ ი  ი წ ყ ე ბ ა  შ უ მ ე რ ი დ ა ნ  დ ა  ე ს  ა ნ ბ ა ნ ი  ქ ა რ თ უ ლ ი  ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი,  ი გ ი ვ ე  შ უ მ ე რ ე ბ ი ს  ა ნ ბ ა ნ ი ა,  ი ს  ა ნ ბ ა ნ ი,  რ ო მ ლ ი ს გ ა ნ ა ც  ი ს წ ა ვ ლ ა  წ ე რ ა-კ ი თ ხ ვ ა  მ ს ო ფ ლ ი ო მ.

ახლა კი გავარკვიოთ: მართლა ასაბუთებს ყოველივე ზემოთქმულს ქართული ასომთავრული?

ჩვენი ღვთაებათა ანბანიდან თუ სხვა ანბანებში ჩაიხედავ, თავისთავად გამოჩნდება, რომ ასომთავრული მთავარი ანბანია. მაგრამ მაინც გავიაროთ კვლევის ის ჩვეულებრივი გზა, რაც უფრო ნათელს გახდის, ეკუთვნის თუ არა სემიტებს პირველი ადგილი ანბანთა გავრცელების ცხრილში.

# დედამიწას ერთი ანბანი აქვს

მთელ მსოფლიოში არსებული ყველა დამწერლობა მხოლოდ ერთი ანბანიდანაა შექმნილი, გადაკეთებული, გადატანილი, გადაწერილი, გადახატული. რაზეც მეტყველებს ანბანთა გავრცელების მსოფლიო ისტორია და ივანე ჯავახიშვილის ეს ცხრილი:




ამ ცხრილში შეიძლება უზუსტობა სადმე გაიპაროს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამ კერძო შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს, რომ მსოფლიოს ხალხთა ყველა ანბანი ერთი ანბანიდან მოდის, რაც ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს.

მსოფლიოს ანბანთა გავრცელების ცხრილში არსად არაა ნახსენები ქართული ასომთავრული და ეს სწორიცაა, აქ მართლაც არაა მისი ადგილი.

# ახლა შევამოწმოთ სემიანთა ადგილი ანბანთა გავრცელების ცხრილში

გთავაზობთ ოთხ დოკუმენტს, რომლის ძალითაც სემიტური არ შეიძლება პირველი ანბანი იყოს:

1. „ტელ-ელ ამირნას მრავალრიცხოვან ნაპოვნთა შორის ანბანური სემური დამწერლობის არც ერთი სემური ძეგლი არ არის აღმოჩენილი. მეცნიერთა შორის იმ რწმენას ურყევი დებულების თვისებას ანიჭებდა, რომ სემური ანბანური დამწერლობა იმ ხანებში ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ არის გაჩენილი. სერაფიტის წარწერებმა ცხადყო, რომ სემურის წინამორბედი XII-XIV საუკუნეებზე რამდენიმე საუკუნით უწინარესად არსებულა".

ი. ჯავახიშვილი

2. „ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის შუახანებისათვის შუმერების ტერიტორიაზე უკვე საკმაო რაოდენობით ყოფილა სკოლები, სადაც ოფიციალურად ისწავლებოდა წერა-კითხვა" (ამ დროს სემური დამწერლობა არ არსებობდა ზ.ქ.).

ს.ნ. კრამერი

3. „ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში აქადელებმა დაიპყრეს შუმერი და დამპყრობმა აქადელებმა შუმერებისგან მარტო დამწერლობა როდი გადმოიღეს".

ს.ნ. კრამერი

მაშ, სემიტური გადაღებული ანბანი ყოფილა და თუ გადაღებულია, ეს შუმერულმაც უნდა დაამტკიცოს და სემიტურმაც. ორივემ ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაკლებად სარწმუნო იქნება ჩვენი ანბანის პირველობა! საინტერესოა, აქამდე ვინმეს აზრად რატომ არ მოუვიდა, რომ შეედარებინა ერთმანეთისთვის ეს ორი ანბანი?!

4. „ქართულ დამწერლობას მახლობელ აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის სრული მსგავსებით უშუალო ნათესაობის და დედნობის გამ(ამ)ჟღავნებელი არ მოეპოვება".

ი. ჯავახიშვილი

დასკვნა ბატონი ივანეს განაცხადიდან ასეთია: გადაღებული თუ არ არის ანბანი, ე.ი. პირველია — ასე ამტკიცებს ანბანური გავრცელების ცხრილი.

აი, ის ოთხი მოსაზრება, რომელიც დასაწყისშივე არღვევს და აუქმებს სემიტების პირველობას ანბანურ ცხრილში.

## ახლა ჩვენი ფესვების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი სემიტების ანბანს პირველ ანბანად არ თვლის, ჩვენს ანბანზე კი ამბობს, რომ არსაიდან არაა გადაღებული, კაცობრიობის ანბანთა გავრცელების ისტორია და ცხრილი კი მკაცრად ასაბუთებს, ყველა ანბანი ერთისგან გამოდის. თუ არავისგან გადაგვიღია, მარტო ჩვენი ანბანი ჩამოვარდა ციდან? მაშ, სად უნდა ვეძიოთ ჩვენი ანბანის ფესვები? ბატონი ივანე ჯავახიშვილი განაგრძობს და პირდაპირ მოუწოდებს მეცნიერებს, რომ „ახლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის მეხუთე საუკუნეში გამოგონების შესახებ ქრისტეს შემდეგ და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ... (მცირე აზია კი შუამდინარეთია)... ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანისა არ იყოს. ქართული დამწერლობა არამცთუ წარმართული ხანისა უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის... გზა, სადაც უნდა ვეძიოთ უძველესი ქართული დამწერლობა და დამწერლობის ძეგლები, უკვე გამოკვლეულია: პალიმფსესტები და დედამიწის სიღრმეში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და საინტერესოს გვიქადიან. მე დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევა-ძიება ქართულ მეცნიერებას ბრწყინვალე აღმოჩენათა შესაძლებლობას უქადის, რომელიც ჩვენი ისტორიის უძველესი ხანის საუკუნეთა სიღრმის წყვდიადის გაფანტვას შეაძლებინებს".

გამართლდა ივანე ჯავახიშვილის ეს წინასწარმეტყველება. მისი უშიშრად და იმედიანად დაყრდნობა მომავალ ბრწყინვალე აღმოჩენებზე ჩვენი ანბანის პირველობას მიანიშნებს.

ახლა ილია ჭავჭავაძის მიერ მსოფლიო მეცნიერთა მოშველიებით მის დიდებულ „ქვათა ღაღადში" გამოთქმული აზრები ჩვენს ფესვებზე, ისტორიასა და წინაპრებზე:

„მასპეროს სიტყვით — ხეტტელთა ქვეყანა შუა იდვა ორ დიდ უძლიერეს ქვეყნებს შორის, ქალდეისა და ეგვიპტისა, — ამის გამო, იგი შეიქმნა ერთ დიდ ბაზრად აღმოსავლეთისა.

— ამ ხალხს დიდი და განვითარებული ცივილიზაცია ჰქონიათ;

— საკუთარი ლიტერატურა და აყვავებული მრეწველობაო;

— წარწერანი მათი იეროგლიფურია, სრულიად განსხვავებული ეგვიპტელებისაგან და დღევანდლამდე წაკითხვა მათი ხელთ არ ეძლევა სწავლულთა მეცნიერებასაო...

ინგლისელი მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტტების ცივილიზაციაა და ევროპა მადლიერი უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტებისაგან არის მიღებულიო (ხეტტებს ილია ქართველთა წინაპრად მიიჩნევს ზ.ქ.) ... ხეტტებისა და ქართველების ნათესაობას, ერთგვარობას ამტკიცებს მასპეროც, რომელიც ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები არიან ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუბალებად და მოსხებად ცნობილნი არიან და თუბალნი და მოსხნი (მესხნი) ხომ ქართველთა მოდგმის ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან...

სახელდებულნი სწავლულნი: ჟან-სენ მარტენი, ვივიან დე-სენ-მარტენი, დიუბუა დე მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართველნი — ისტორიული მოთხრობანი — ღირსშესანიშნავი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისო".

ნიკო მარი: „დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად, მის გაუცნობლად ვერც ერთი საკაცობრიო სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება".

რამაზ პატარიძე: „ქართულ ასომთავრულ ანბანში დამარხულია უძველესი ასტრონომიული და კალენდარული პრობლემა: ესოდენ სრულყოფილი კალენდარული სისტემა კალენდარის ისტორიამ არ იცის... არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორიცაა ქართული ანბანური დამწერლობა".

ისტორიის სიღრმით შეშინებულ მეცნიერთა საყურადღებოდ, აი, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში": „საქართველოს ისტორიის დამარხვა რუსით იწყება და რუსითვე მთავრდება. ამათ შუა მთელი მწკრივია სომეხ მეცნიერ-მწიგნობრებისა. ასე რომ, ერთი ღარი თავიდან ბოლომდე რომ გასჭიმოთ, სულ ყველას იგი ღარი თავზე გადაუვლის".

საუბედუროდ, ამ ლარის ქვეშ მოექცა უამრავი ქართველი მეცნიერიც, ისინი საქართველოს ისტორიის საწინააღმდეგო საქმეში დგანან და თითქმის გასდევენ ივანე ჯავახიშვილი. მათ რუსის სენკოვსკისეული ზოლი უჭერთ მხარს და რატომღაც უცხო ძლიერნი არიან, ამით კი იბღალება ჩვენი ისტორია, წარმომავლობა, კულტურა და ყველაფერი ის, რაც წმინდა მამულისეულია და ჩვენია.

# ქართული ასომთავრულის გასაიდუმლოება. მისი დაბადების დრო და ასაკი

რატომ არ არის ქართული ასომთავრულის ხაზში? რაში დასჭირდათ ლურსმული? რატომ გაასაიდუმლოეს ასომთავრული? საიდან მოდის ან სად უნდა ვეძიოთ ანბანთა გასაიდუმლოების მომენტი და საჭიროება?

რა თქმა უნდა, კაცობრიობის პირველი ანბანიდან!

ანბანის გასაიდუმლოებაზე ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ „ყველა კულტურულ ერს, ჩვეულებრივს გარდა, საიდუმლო მრავალი ანბანიც ჰქონდა“ და იქვე იშველიებს გარდაბუზენს: „საიდუმლო წერისათვის საგანგებოდ შექმნილი (შეთხზული) რამდენიმე ანბანიც არსებობდა“. შემდეგ მარი ბროსეს: „საქართველოშიც სცოდნიათ კრიპტოგრაფიის ხელობა, რომ ბევრი სხვადასხვა ქართული ანბანის ნიმუშები მქონდა ხელთ“.

დამწერლობის ისტორიასთან დაკავშირებული შუმერთა ბიოგრაფიის ერთი დიდი ფურცელი, თუ რატომ იყო საჭირო ანბანის გასაიდუმლოება, შემდეგს გვიამბობს:

მესამე ათასწლეულის მეოთხე მეოთხედში, დაახლოებით 2125 წელს ძველი წელთაღრიცხვით, ტყდება ჩვენი ისტორია ხერხემალში, აქედან იწყება ჩვენი ისტორიის დამარხვა და დაბნელება. შუმერებს იპყრობენ სემიტები და თავიანთთვის ანბანს ართმევენ. შუმერებმა, როგორც კი წერა-კითხვა სხვას ასწავლეს, მაშინვე დაკარგეს უპირატესობა ყველა დანარჩენ ხალხზე, რადგან მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა სემიტური ენა ანბანთან ერთად და აღარ იყო საჭირო შუმერული: ამან გამოიწვია შუმერთა მივიწყება და საუკუნეთა განმავლობაში მკვდარ ენად გამოაცხადეს, შემდეგ და შემდეგ კი შუმერთა მოდგმა გადაშენებულად. აი, რა

გამოიწვია ანბანის დაკარგვამ — შუმერული აღარ იყო საჭირო. მსოფლიოს მოედო სემური, ებრაული ენა, მერე ბერძნული, ლათინური და ასე შემდეგ. ოთხი ათას ასოცდახუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენი ისტორია მიწასთან სწორდება და იმარხება. მეცნიერებს კი, როგორც კოლხები ჰგონიათ გადაშენებული, ისე ისინი, სინამდვილეში ყველა თავის ადგილზე ცხოვრობს თავისი წესით, ადათით, ჯიშით და ენით.

შუმერებმა იცოდნენ, რომ თუ ანბანს დაკარგავდნენ, უპირატესობასაც თან გააყოლებდნენ, ამიტომაც ასაიდუმლოეს ალბათ. შუმერებს რკინასთან, გუთანთან, თიხთან, აგურის ყალიბთან ერთად წამოჰყვათ ეს, სამყაროსეული ცივილიზაციით და ყველა საიდუმლოებით სავსე ღვთაებრივი ანბანი და ამ სახით არ წარუდგინეს ხალხს, მოიგონეს ლურსმული სახალხო დამწერლობა, რომელსაც მარტო დამწერლობითი მნიშვნელობა ჰქონდა და მეტი არაფერი, ასო-ნიშნები კი, რომლებშიც დიდი სამყაროსეული განათლება იყო შეფარული, ასაიდუმლოეს, ე.ი. შუმერული ანბანი შეინახეს. თუ უძველეს თიხის ჭურჭელზე, ბეჭდებზე და ფირფიტებზე გამოსახულ-შენახულ ასომთავრულის ასო-ნიშნებს არ ჩავთვლით, იგი დამწერლობის სახით არაა შემონახული. შუმერთა ბინადრობის უძველეს ადგილებში შეიძლება აღმოჩენილიცაა ამ სახის დამწერლობა, მაგრამ ვერ იგებენ, იმიტომ რომ არ იციან ქართული ასომთავრული, უამისოდ კი ვერ ხსნიან, ისევე როგორც, შუმერულ თიხის ფირფიტებსა და ბეჭდებზე გამოსახულ ქართული ასომთავრული ასო-ნიშნებით და ასო-ნიშანთა შინაარსით შექმნილ ძვ.წ. 5600 წლის შუმერულ ფირფიტებს. და ბოლოს, ქართული ასომთავრულის ასაკს ადგენს:

1. ხეთური ფორმულა, რომელიც ანბანის ხაზობრივი სისტემაა;
2. შუმერული ძვ.წ. 5000 წლის თიხის ფირფიტები და ბეჭდები;
3. ანბანში შეფარული სამყაროსეული ცივილიზაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩამოსვლისას უნდა სცოდნოდათ.

აქედან ვასკვნით, რომ ანბანის ასაკია სიცოცხლის დასაბამი, ძვ.წ. 5604 წელი, რასაც ადასტურებს ხელოვნების უძველესი ნიმუშები:

1. ოქროს დიადემა, რომელიც ანბანისეული შინაარსითაა შექმნილი;
2. დოკუმენტური მოთხრობა „კაცობრიობის ახალი წლის პირველ დღეზე";
3. ასევე დოკუმენტური მოთხრობა დედამიწის გაჩენაზე;

4. „წარღვნის" შუმერული მოთხრობა:

5. ძვ.წ. 5000 წლის ასო-ნიშნები Շ Ծ Ը 卐.

# არ შეიძლება სემიტური იყოს ქართული ანბანის სათავე

მსოფლიო ანბანთა გავრცელების ცხრილში თავშია სემიტების ანბანი და თანამედროვე მეცნიერებასაც ასე მიაჩნია. ახლა ვნახოთ, რამდენად ჭეშმარიტია ეს და პასუხი გავცეთ რამდენიმე შეკითხვას:

1. თუ სემიტები არიან ანბანის პირველი შემქმნელნი, მაშინ ძველ მსოფლიოში ისინი უნდა ყოფილიყვნენ პირველი ცივილიზებული ერიც და მის გვერდით აღარ უნდა იყოს სხვა უფრო განათლებული მოდგმა, რადგანაც ანბანის ქონება დიდი განათლება და მეწინავეობაა ერისა (რა თქმა უნდა, კაცობრიობის ანბანთა დასაწყისთან გვაქვს საქმე).

პასუხი: „კაცობრიობის პირველი წერილობითი ძეგლები ძველი ქალაქის, ურუქის ნანგრევებში აღმოჩნდა... მაშასადამე, უკვე მაშინ ყოფილან ადამიანები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლის წინ ფიქრობდნენ სწავლა-განათლების საკითხებზე" (კრამერი, „ისტორია იწყება შუმერიდან", გვ. 10). აი, სად ქრება სემიანთა ცივილიზაციის ობლობა — მარტოობა და სად ასწრებს შუმერთა ცივილიზაცია, რასაც პირდაპირ მიანიშნებს სულმნათი ივანე ჯავახიშვილიც: „ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძიოთო" და რაც გამართლდა კიდეც არქეოლოგიური აღმოჩენებით.

2. რატომაა გადმოღებული ანბანი წინაზე მდარე?

პასუხი: სემიანთაგან გადაღებული ბერძნული ან სხვა ანბანები ერთი თავით ნაკლებია წინაზე. მაგალითად: სემიტების ანბანში ასოთა სახელდებებს გააჩნიათ შინაარსი: „ალეფ-ხარი", „ბეთ-სახლი", „გიმელ-აქლემი" და ასე შემდეგ, ხოლო „ალფა", „ბეტა" და „გამა" არაფერს არ ნიშნავს ბერძნულად. ეს მომენტი კი ამდაბლებს და უაზროსა ხდის ანბანს. ყველა ანბანი, რომელიც მერე და მერე საფეხურებად გადადიოდა ერიდან ერში, მარტო ასოთა მნიშვნელობას იღებდა და მეტს არაფერს.

3. რა შემთხვევაშია სრულყოფილი ანბანი?

პასუხი: ანბანი სრულყოფილია მაშინ, როცა ასოს სახე

მოხაზულობით ჰგავს იმას, რასაც მიანიშნებს და ასოს სახე სახელს შეესაბამება, ე.ი. ფორმა-შინაარსობრივი ერთობა აქვს. მაგალითად, ქართული ასო-ნიშანი ანი,

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | ასონიშნის სახელი | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 1 — | Ⴀ | — ანი = | 1 |

Ⴀ —ანი მთვარეა შუმერულად — უძველეს ქართულად და ასო-ნიშნის მოხაზულობა ჰგავს კიდეც მთვარეს! ზემოდან ხაზი აზის და მიანიშნებს პირველ ცას, ე.ი. დედამიწიდან პირველი ცა მთვარეა, ასტრონომიულადაც სინამდვილეში ასეა. რიგითი და რიცხვითი მნიშვნელიც ერთია და ამითაც ადასტურებს თავის პირველობას. მოხაზულობის სახე რომ გამოხატავდეს იმას, რასაც ნიშნავს, სახელიც ის ერქვას და თან რიცხვებიც ასე ჰარმონიულად ერწყმოდეს, კაცობრიობის ანბანებს ასეთი სრულყოფის — როცა ასო-ნიშნის სახე, სახელი და რიცხვი შინაარსობრივ ერთობაშია — წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ.

სრულყოფილების უბრწყინვალესი მაგალითია ქართული ასო-ნიშანი წილი.

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | ასონიშნის სახელი | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 31 — | Ⴜ | — წილი = | 4000, |

ასო-ნიშანი მიანიშნებს სახელების იშვიათად მიღწევად ჰარმონიას:

Ⴜ = წრე
წელიწადი
წილი
წილადი

თავად ასო-ნიშანი გამოხატავს წრესაც, იგივე წელიწადს და წილსაც — იგივე წილადს, შინაარსიც ასეთი აქვს. დედამიწის მიერ მზის ირგვლივ შემოვლილ წრეს ანგარიშობს თავისი გასასწორებელი წილით — წილადით — წრეხაზის სიგრძის

შეფარდებას თავის დიამეტრთან — 3.14. ამ რიცხვს მიანიშნებს და მერე რიდიდას!

აი, ეს რიცხვურიც: 31 — რიგითი ადგილი. Ⴛ — სახე ასო-ნიშანისა წილი, წილადი, წრე, წელიწადი — სახელდება ასო-ნიშნისა და რიცხვითი მნიშვნელობა 4000. აი, სადაა შეფარდული რიცხვები 3, 1 და 4, მძიმე ადამიანმა უნდა დასვას — 3,14. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ერი, რომ ჰქონდეს ანბანი და ასოთა სახე და რიცხვები ასე იყოს ჰარმონიულად აკინძული და მოხუქურთმებული. ასეა ასომთავრულის ოცდათხუთმეტივე ნიშანი.

4. გადამღებისაგან წინაზე უკეთესი ანბანის შექმნა შეუძლებელია?

პასუხი: ფაქტი ერთია: კაცობრიობის გავრცელების ისტორიაში გადამღებს უკეთესი ანბანი არ შეუქმნია. ანბანი როცა არა აქვს ერს, ის ერი გაუნათლებელია, გაუნათლებელი როგორ შექმნის განათლებულზე უკეთეს ანბანს ან მწიგნობარზე უკეთესს — უწიგნური!

5. ანბანური ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ არის ერთი პირველი ანბანი, დანარჩენი მისგანაა გადაღებული. რომელი შეიძლება იყოს პირველი ანბანი, დასაწყისი ყველა ანბანებისა, და თუ არის პირველი ანბანი, რითი ამტკიცებს რომ პირველია, რა აშკარა უპირატესობა ჩანს და აქვს პირველს ყველა დანარჩენთან? თუ დამტკიცდა, რომ გადაღებულია სემურიც, ე.ი. არსებობს საწყისი ანბანი, სემურზე მთელი ტანით მაღლა მდგარი და სრულყოფილი, რადგანაც პირველია, პირველი კი ყველა დანარჩენ ანბანზე აუცილებლად უკეთესი და სრულყოფილიც უნდა იყოს. ეს უკეთესობა და სრულყოფილება თვითონ ანბანმა უნდა დაამტკიცოს.

პასუხი: ვისგან გადაიღეს სემური ანბანი? ანბანურ დამწერლობას იმდროინდელი მსოფლიო არ იცნობს, იმ დროს ლურსმული დამწერლობა ჰქონდათ, საიდან გაჩნდა შუმერთა ლურსმულის შემდეგ ანბანი სემური? იქნებ გასაიდუმლოებული იყო მათემატიკურ, გეომეტრიულ და ასტრონომიულ ასოთა ხმარება, საწერად სახალხოდ მიგონილ ლურსმულს ხმარობდნენ, ამ ძვირფას ასოებს კი, რომელშიც სამყაროს საიდუმლოება იყო შენახული, შუმერები არ აჩენდნენ და ყველასათვის მისაწვდომს არ ხდიდნენ. შესაძლებელი იყო თუ არა ეს და რა თვალსაჩინოება ამტკიცებს ამ შემთხვევას?

ისტორიული ფაქტი ასეთია: „ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო

მეოთხედში დამპყრობმა სემიტებმა შუმერელთაგან მარტო დამწერლობა როდი გადმოიღეს" (კრამერი, „ისტორია იწყება შუმერიდან", გვ. 14). აი, ფაქტიც: მაშინდელ მსოფლიოში ჩნდება ჯერ არნახული წერის საშუალება — ანბანი, რომელიც სემიტებმა წაართვეს შუმერებს. ლურსმული დამწერლობა ასეთია:  — ა.

ასეთი ლურსმული „ა"-სგან როგორ მიიღეს გადაღების შემდეგ ასეთი „  " — „ა", ასომთავრულის Ⴀ-სთან ხომ არ არის უფრო ახლოს, ნახევარწრე კუთხედაა ქცეული და ხაზიც გამოყენებული?! რა ლურსმულიდან შეიძლებოდა გადაეღოთ აქადელებს ასეთი ასოები, რა ასოებიც იმდროინდელმა მსოფლიომ არ იცის:

 — ბეთ —  — თუ არა ასომთავრულიდან

 — პე —  —

 — ვავ —  — ასომთავრული ყელისმიერი მეორე — ხ.

 — ტეტ —  — თუ არა ასომთავრულიდან

 — სამექ —  —

 — კოფ —  —

 — აინ —  —

 — საიდე —  —

ან ასეთი   — თავ-ქართული ასომთავრულის ორივე ჯვარი, სემიტების ანბანში რომ უაზროდ ალაგია.

დასკვნა: შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული

აქადელების გადაღებულ ანბანში გამჟღავნდა მსგავს, მაგრამ მოშხნელობადაკარგულ და დამახინჯებულ ასოებად. რა თქმა უნდა, უწიგნური ერი ანბანის შექმნისთანავე კალენდრის, მათემატიკის, გეომეტრიის და ასტრონომიის სწავლას ვერ გაუძლებდა, ვერ შეითვისებდა და არც გაატანდნენ. სემიტებს სჭირდებოდათ დამწერლობა და შემკრებმა გაატანეს კიდეც, ოღონდ გამარტივებული უაზრო ანბანი, რაც შემდეგ უამრავი ერის დამწერლობად გადაიქცა.

კაცობრიობის ანბანთა გავრცელების არსებული ისტორია ფაქტობრივად ამტკიცებს, რომ ყველა გადაღებული ანბანი მთელი თავით ნაკლებია დედანზე. რატომ უნდა იყოს ერთადერთი შემთხვევა ანბანის გადატანის ისტორიაში, რომ ქართველებმა უცხო ცუდისგან უკეთესი შევქმენით? ანბანის შექმნა არავის არ შეუძლია. გადატანა-გადაწერა-გადაღება — კი ბატონო, მაგრამ თვითონ კი ვერ გადაიღებს, გადაადებინებენ: წერა-კითხვის უცოდინარი როგორ გადაიღებს ასოებს, როცა წერა-კითხვა არ იცის. ამ ასოებსაც მცოდნე ასწავლის; არ ემორჩილება ლოგიკას, რომ ჩვენი უკეთესი ანბანი საიდანმე იყოს გადმოღებული, **მაგრამ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ჩვენი ანბანის წარმომავლობაზე, მის დაბადებაზე, გაჩენაზე, მის სამყაროსეულ სიბრძნით დატვირთვაზე. სა-იდან? როგორ? რანაირად? ამის გაგება ახალ გზას კარნახობს მეცნიერებას და სულ სხვანაირი ხდება დედამიწის ისტორია, რაც 4125 წელიწადი მახინჯდებოდა და იკარგებოდა.**

სემური და ქართული ასომთავრული ანბანების შედარებისას გამოსახულებათა, ბგერათა, ასოთა რაოდენობით, მოხაზულობით, ასტრონომიით, გეომეტრიით, მათემატიკით, რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობებით, მზისა და მთვარის კალენდარით, წილადით, ღვთაებებით, მოძღვარი ასო-ნიშნებით, ანბანური სრულყოფილებით, სისტემებით ქართულის თვალსაჩინო უპირატესობა ჩანს. გამოდის, რომ ამ ანბანს დედანი არა ჰყავს და გადაღებულიც არაა, ე.ი. პირველია, ცხრილშიც სათავისკენ მიიწევს და ამასვე წინასწარმეტყველებს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი, რომ „ქართულ ასომთავრულს დედანი არა ჰყავს".

# ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲕᲧᲕᲔᲗ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲡ

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ: ჩვენ გვაქვს 35 ასო-ნიშანი, იმათ — 22.

ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ: ოცდათხუთმეტი ხუთი შვიდეულია, რაკი  ანი, მთვარე იწყებს ანბანს, ეს მისი შვიდეულებია. სემიანთა 22 ასო-ნიშანი შვიდეული არაა და არც რაიმე კანონს ნიშნავს რიცხვი 22.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ: ჩვენს ანბანში დღეების, თვეების, წლების, საათების, წუთების, წამების და ბრუნვათა ანგარიშია. სემიტების ანბანს ყველაფერ ამაზე წარმოდგენა არა აქვს.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ: ჩვენი რიცხვითი მნიშვნელობა არის 8000, სემიანების — 400.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ხ, ჯ, ჩვენს ანბანს თერთმეტი ასოთი მეტის გამოთქმის საშუალება აქვს — სემიანებს ეს ასოები საერთოდ არ გააჩნიათ.

ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ: მზე და მთვარე ასომთავრულში ასო-ნიშნებია, სემურ ანბანს კი მზესა და მთვარეზე წარმოდგენაც არა აქვს.

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ: ქართულ ანბანშია -  -თანი, სინათლის ღვთაება,

მზეთამზის ღვთაება —  — რა. —  — ცისკარი,

—  —ხარი-დედამიწა.

ᲛᲔᲠᲕᲔ: აქ არის გეომეტრია —  — და ასე შემდეგ.

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ: აქ არის ხაზობრივი და რიცხობრივი ჰარმონია, მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატი უდრის

კათეტების კვადრატების ჯამს: 4 $3^2 + 4^2 = 5^2$, 25=25.

ᲛᲔᲐᲗᲔ: აქ არის მთვარის კალენდარი- 6.  - ვინი=6.

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ: მზის კალენდარი— 19.  -რა=100

მეთორმეტე: დღეთა აღრიცხვა

12. Ⴊ -ლასი=30, 12x30=360°

მეცამეტე: თვეთა აღრიცხვა— 12. Ⴊ -ლასი=30

მეთოთხმეტე: დედამიწის წრე მზის ირგვლივ და თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნვა —

16. Ⴍ -ონი = 70.  -ქუდი.

მეთხუთმეტე: გალაქტიკების შუაგული—

25. Ⴖ -ღანი=700,

მეთექვსმეტე: ქართულ ასომთავრულში არის წილადი — ყველაზე დიდი საოცრება ძველ მსოფლიოში! წრეხაზის სიგრძის შეფარდება თავის დიამეტრთან — 3,14.

მეჩვიდმეტე: აქ არის საათები— 24. Ⴕ -ქი = 600.

მეთვრამეტე: და ბოლოს: არ შეიძლება ამ სახელდების ასო-ნიშნებიდან — კბილი, მაჯა, პირი, ანკესი, სახრე, კეფა და ასე შემდეგ — შეგვექმნა ცთომილთა და ღვთაებათა ანბანი! დამწერლობის განვითარების ვერც ერთი მომენტი ამას არა და ვერ დაუშვებს და არცა აქვს დაშვებული მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

დასკვნა: დამპყრობილი შუმერები დამპყრობელ სემიტებს, რა თქმა უნდა, წარმართად და ფუძიანად არ გაატანდნენ თავიანთ კულტურას. ჭკვიანს, მაგრამ დამპყრობილ შუმერს ეცოდინებოდა, რომ დამპყრობელი სრულყოფილ კულტურას არ უნდა აზიარო,

რაც ბრწყინვალედ ჩანს სემიტებისათვის მიკუთვნილ დამახინჯებული ასო-ნიშნებით შედგენილ ანბანში უკუღმა წერით — მარჯვნიდან მარცხნივ. შუმერების ანბანი კი იმდენად მაღლა დგას, რომ შედარებაც საჩოთიროა. ეს იყო ჩვენი მიზანიც. ამიერიდან მსოფლიოში ანბანური გავრცელების ცხრილს იწყებს შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული, რაზეც მეტყველებს თიხის ძვ.წ. 5000 წლის შუმერული „რვეულები".

## ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲓᲐᲜ

აი, რა წაიკითხეს მეცნიერებმა შუმერების უძველესი თიხის ფირფიტაზე:

„1. თავდაპირველად ყოფილა პირველქმნილი ოკეანე;

2. პირველქმნილმა ოკეანემ წარმოშვა კოსმიური მთა, რომელიც მიწას აერთებს ცას.

3. ადამიანის სახის მქონე ა ნ მ ა (ცამ), ქალღმერთმა ქ ი მ (მიწამ) შვეს ჰაერის ღმერთი ე ნ ლ ი ლ ი.

4. ჰაერის ღმერთმა ენლილმა ერთმანეთს განაშორა ცა და მიწა. იმ დროს, როცა ანმა ასწია (წაიღო) ცა, ენლილმა ძირს დაუშვა მიწა, თავისი დედა; ენლილმა, უფალმა ჰაერმა და მიწამ ერთად მისცეს დასაწყისი მსოფლიოს მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანს და ცივილიზაციას" (კრამერი, „ისტორია იწყება შუმერიდან", გვ. 12). აი, სადა აქვს სათავე ქართული ასომთავრულის ასო-ნიშანს Ꮖ ანს, მთვარეს — იგივე ცას. აი, საიდან მოდის ჩვენი პლანეტის ემბლემა. „卐 —ქი", მიწა, დედა, აი, საიდან მოჰყვება დედის სახელი მიწას. სახელი „დედამიწა" არავის შერჩა მშობლიურივით, როგორც ქართველებს, ან რა უნდა შერჩენოდათ დანარჩენ ერებს, რაც არც იცოდნენ და არც გააჩნდათ.

„ანი", „ქი", „ლილე" — სამყაროს წარმომშობი სამი ღვთაების სახელია ჩვენში შენახული. მეტი უპირველესმა თქმულებამ რა ქნას, ან ჩვენმა ანბანმა, ან სვანურმა სიმღერამ „ო, ლილეო" და მათში მოხსენებულმა ღვთაებებმა?!

ბოლო დასკვნა: ჩვენი ანბანიდანაა სამყარო თუ სამყაროდანაა ჩვენი ანბანი, ეს ანბანისათვის სულ ერთია, მაგრამ დედამიწის წარმოშობის, დედამიწის გაჩენის თქმულებაში, რაც შუმერებმა მიწაზე ჩამოსვლის შემდეგ დაწერეს, ნამდვილად დიდი ხნის ამბავს მჰყვებიან და საოცარია ის, რომ ამ ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარ

ამბავში მონაწილეობენ ანბანისეული ღვთაებები ანი, ქი და სვანეთში შენახული სიტყვა ლილე. ეს თქმულება დედამიწის წარმოშობაზე, დედამიწის გაჩენაზე დაწერილი და გარდა დაწერილისა, დახატულია ასომთავრულის დიდი ღმერთის ასო-ნიშან ლანის 7600 წლის შუმერულ თიხის ფირფიტაზე, ხოლო ეს ოთხი ნათლად გამოკვეთილი სახელი — ა ნ ი, ქ ი, ლ ი ლ ე და ლ ა ნ ი — მხოლოდ შუმერულია, ქართული ასომთავრული ანბანისეულია და მერე როდინდელი!

ამაზე დიდი დოკუმენტური მასალა, ასე პირწმინდად დამოწმებული ანბანით, შუმერთა უძველესი მოთხრობით, ასო-ნიშან ლანის თიხის ფირფიტით და ამ ასაკის, რაც დედამიწის დაბადებას ეხება, კაცობრიობამ არ იცის, არც შეიძლება იცოდეს, იმიტომ, რომ ეს ანბანი მხოლოდ ჩვენა გვაქვს, სამყაროსეულია, ერთია და მხოლოდ ქართული.

## აი, ეს არის შუმერების ანბანური სამყაროსეული ღვთაებათა პანთეონი საკრებულო შვიდი ღვთაება

1.  – ანი ღვთაება მთვარე

2.  – დონი ღვთაება მზე

3.  თანი თვალი სინათლის ღვთაება

4.  – რა ღვთაება რა — მზეთამზე

5.  – ლანი დიდი ღმერთი – ერთი. სამყაროს გამრიგე და გამგებელი

6.  – ცანი ღვთაება ცისკარი, ცის დედოფალი

7.  – ხარი ღვთაება დედამიწა

# სამყაროსეული ცივილიზაციის ხაზობრივი, რიცხვითი და კოსმიური სისტემა



ეს ფორმულა იწყება ასომთავრული ხაზობრივი სისტემის, ლურსმული წერის სისტემის [illegible] ამ ფორმულის არსებობა [illegible] ძვ.წ. 5000 წელი და [illegible] [illegible] 5000 წელი [illegible]





ლურსმული წერის ნიმუშები. შუმერული ფირფიტა [illegible] ხაზობრივი სისტემა.

შუმერული თიხის ფირფიტა ძვ.წ. 5000 წელი






აი, სრულყოფილი ფორმულა ხაზობრივი, რიცხვითი და კოსმიური სისტემისა, რომელშიც ყველა ასო-ნიშანია მოთავსებული და გვკარნახობს, რიცხვებით რომელი ასო-ნიშანი როგორ იწერება.

# ძველი წელთაღრიცხვის 5000 წლის წინანდელი შუმერული თიხის ფირფიტები ამოცნობილი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნებით

ახლა კი ვნახოთ
შუმერული თიხის ფირფიტები და ბეჭდები
ასომთავრულის ასო-ნიშნებით.

სახე ასონიშნისა



1. ასონიშანი ღანი.

დიდი ღმერთის, ცისა და ქვეყნის, სამყაროს გამრიგისა და გამგებლის სახე.

თიხის ფირფიტაზე



2. ღანის ძვ.წ.აღ. 5000 წლის თიხის ფირფიტა.

თვალხილული დიდი ღმერთი არავინ არ იცის შუმერების ანბანის გარდა.




## ფორმულაში

3. ღანი ფორმულაში.

7,7777,7.

სამყაროში დიდი ღმერთის რიცხვია შვიდი და რიცხვიერ ფორმულაში იგი იცავს თავის რიცხვს.

## სახე ასონიშნისა



1. ასონიშანი ქი. ქი დედამიწაა.

დედამიწის სიმბოლური სახე. ანბანში ოცდამეოთხე. მიანიშნებს ოცდაოთხ საათს, შემობრუნებას თავისი ღერძის ირგვლივ

## თიხის ფირფიტაზე



2. ქანის ძვ.წ.აღ. 5000 წლის შემკრული თიხის ფირფიტა

კაცობრიობის პირველი კალენდარი. რომელზედაც გამოსახულია სიცოცხლის ოთხი დედა — ჰაერი. წყალი. მიწა და მზე

ოთხი დრო. ოთხი მხარე. თორმეტი თვე.



3. ქის ასონიშანი. ლაბიკური ფორმა ქალის თმებით. თიხის ქოთანზე.

ძვ.წ.აღ. 3000 წელი. მცხეთა.

## ქი-ს — ბეჭედი



4. ქი-ს თიხის ბეჭედი. ძვ.წ.აღ.3000 წელი. მცხეთა.

ასეთი ბეჭედია სტამბულში შემკრების მუზეუმში ძვ.წ. 5600 წლის.



5. ქი ყორმუღლაში.

ქი ერთადერთი ასონიშანია მთელ ანბანში, რომელიც ქვედა რიცხვს ეხება მიანიშნებს, რომ ეს ღოღოსიწელების სიმნებია.



1. ასონიშანი კანი.
უსასრულო მოძრაობის ნიშანი.



2. კანის თიხის ბეჭედი.
ძვ.წ.აღ. 3000 წელი. მცხეთა.



3. კანი

ერთადერთი ასონიშანი, რომელიც ყორმუღლაში რიცხვს არ ეხება.

ამ ანბანში შეფარული საიდუმლოებანი სამყაროს ცივილიზაციის კუთვნილებაა, რომლითაც განათლდა ძველი დედამიწის ხალხი, ჯერ აზია და მერე ევროპა.

აგრეთვე, ყველა რელიგია, რაც კი დედამიწაზე არსებობს, ამ ანბანური სიბრძნის პატარა განაკადებია.

# ქართული ასომთავრული — შუმერების ანბანი



# სემიტების, იგივე აქადელების ანბანი



# ანბანის დახასიათება

ასომთავრული ანბანში 35-ასონიშანია. რამაზ პატარიძის კვლევის მიხედვით 35 — ხუთი შვიდეულია, რაც ანბანში მკაცრადაა დაცული, რადგან მთვარე Ⴤ ანი იწყებს ამ ანბანს, მთვარე კი 7-რიცხვს ემორჩილება და ანბანსაც შვიდი რიცხვი განაგებს.

ასოთა თანმიმდევრობა ასეთია: Ⴡ - ჰანი ასონიშანი მერვე ადგილზეა, ი ორი აქვს ანბანს, Ⴈ ი-მოკლე მეათე ადგილზეა, იიი — გრძელი მთავრული ასონიშანი მეთხუთმეტე ადგილზე ბრძანდება და ასეთი სახე აქვს Ⴢ. ასო ხ-ც ორი გვაქვს: Ⴞ - ხ — ჩვეულებრივი სასისმიერია და ოცდამეცამეტე ადგილზეა, მეორე კი ხორხისმიერია, ასეთია Ⴤ და 34-ე ადგილი უჭირავს. ანბანში რიგი 1-დან 35-მდე სასწაული სიმკაცრითაა დაცული რიცხვითი სისტემის გამო.

* * *

ეს ანბანი მზისა და მთვარის ანბანია, ამ ანბანში მთვარე და მზე ასონიშნებადაა.



ანი — მთვარეა, იგივე ცა, მამრი ღვთაება, მცხრალი მთვარე, ძველი.
შუმერულადაც ზუსტად ასეა, როგორც ანბანში.

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 1. |  | -ანი | = 1 |

# Ⴂ

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 2. | Ⴂ | -განი | =2 |

© ვ. ზ. ქაფიანიძე და მიმჩუანი, 1997.



| რიგითი ადგილი | სახე აღნიშნისა | სახელი აღნიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 3. | Ⴂ | -განი | =3 |



დონი — დედალვთაება მზე

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 4. | Ⴃ | - დონი | =4 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 5. | Ⴄ | - ენი | =5 |



ვინი — მთვარის კალენდარია

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 6. | Ⴅ | ვინი | 6 |

**6. Ⴅ - ვინი = 6**



ზენი — ზეციერი

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 7. | ზ | - ზენი | = 7 |



რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა

# 8.  –ვანი =8



თანი — შუმერული თვალის
გამოსახულება, სინათლის ღვთაება

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 9. | Ⴇ | -თანი | =9 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 10. | Ⴈ | -ინი | =10 |

# Ⴉ

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 11. | Ⴉ | -კანი | =20 |



ლასი — წლის მეთორმეტე თვეა
და 360 დღე-ღამეს ანგარიშობს,
(12X30=360⁰)

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 12. | Ⴊ | -ლასი | =30 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 13. | Ⴋ | -მანი | =40 |

# Ⴌ

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| **14.** | **Ⴌ** | **-ნარი** | **=50** |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 15. | Ⴍ | -ონ | =60 |



ონი — დედამიწის გზა მზის ირგვლივ და ბრუნვა თავისივე ღერძის გარშემო  კუდი

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 16. | | -ონი = | 70 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
| --- | --- | --- | --- |

# 17. Ⴎ -პარი=80

# Ⴏ

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 18. | Ⴏ | -ჟანი | =90 |

© ჩ. ზ. ქაჯიანიძე, თ. მიმინოშვილი, 1997.



რა — მზეთამზე, მზის ღვთაება,
მზის კალენდარი
19-წლიანი სისტემა

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 19. | Ⴐ | - რა | =100 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 20. ს -სანი=200



| რიგითი ადგილი | სახე ასომთავრულისა | სახელი ასომთავრულისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 21. Ⴒ -ტარი=300



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 22. | Ⴓ | -უნი | = 400 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 23. Ⴔ - ფარი = 500



ქი — მიწა, დედა ღვთაება, შემობრუნება მარჯვნიდან მარცხნივ თავისი ღერძის ირგვლივ, 24-საათი.

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 24. | 卐 | -ქი | =600 |



ღანი — დიდი ღმერთი, ერთი, უხილავი, ქვეყნიერების შემოქმედი ცისა და ქვეყნის გამრიგი და გამგებელი, სამყაროს წესრიგი.

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 25. Ⴖ-ღანი =700

# Ⴗ

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 26. Ⴗ -ყარი=800

# Ⴘ

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 27. | Ⴘ | -შინი | =900 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 28. | Ⴙ | - ჩინი | = 1000 |



ცანი — ცისკარი — ცის დედოფა-
ლი, ცის კარიბჭე, შუმერულადაც
და ქართულადაც ერთნაირია.

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 29. | Ⴚ | -ცანი | =2000 |



| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 30. Ⴛ-ძილი =3000



წილი — წელიწადი, წრე, წილი, წილადი — წრეხაზის სიგრძის შეფარდება თავისივე დიამეტრთან.

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| **31.** | **Ⴜ** | **-წილი** | **=4000** |

# Ⴝ

რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა

# 32. Ⴝ -ჭარი =5000



ხანი — დაბრუნება

| რიგითი ადგილი | სახე ასომთავრულისა | სახელი ასომთავრულისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|

# 33. Ⴞ - ხანი = 6000



ხარი — დედამიწის სახელი,
დედამიწა

| რიგითი ადგილი | სახე ასომთავრულისა | სახელი ასომთავრულისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| **34.** | **Ⴤ** | **-ხარი** | **=7000** |

© ნ. ზ. ქაფიანიძე, თ. მიბჩუანი, 1987.



ჯვარი — დამამთავრებელი ასონიშანი

| რიგითი ადგილი | სახე ასონიშნისა | სახელი ასონიშნისა | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| 35. | Ⴟ | -ჯვარი | =8000 |

# ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ ႠႬႡႠႬႨႱ ႾႠႦႭႡႰႨႥႨ ႱႨႱႲႤႫႠ



ახლა ვნახოთ რა წესრიგით თავსდებიან ფორმულაში ასონიშნები




1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 6
7 8 9

1 2 3
4 6
7 8 9

1 2 3
4 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9





# ႠႬႡႠႬႨႱ ႾႠႦႭႡႰႨႥႨ ႱႠႫႱႠႾႤႭႡႠ

## მთავრულები



# მრგლოვანები



# კუთხოვნები



# სემიტური ანბანის ხაზობრივი სისტემა, რაც მარტო ჩვენმა ფორმულამ იცის




1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5 6
7 8 9

1 2 3
4 5
7 8 9

1 2 3
4 5
7 8 9


1
2
3
4
6
7
8
9


1
2
3
4
6
7
8
9


1
2
3
4
6
7
8
9


1
2
3
4
6
7
8
9


1
2
3
4
6
7
8
9

## თეიმურაზ მიბჩუანი

# მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა

„ჭეშმარიტების კრიტერიუმია ცდა".
თ. კამპანელა (1568-1639 წწ.)
დიდი იტალიელი ფილოსოფოსი.

ძველმცირეაზიურ ცივილიზაციათა ამოსაცნობად და შესასწავლად უნიკალურია ქართული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლინგვისტური მასალა, რომელიც ამ მიმართულებით მაქსიმალურად გამოყენებული არ არის.

ეთნიკური თვალსაზრისით ჯერაც არ არიან შესწავლილი შუმერები, რომლებიც მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის პიონერებად ითვლებიან.

ბატონ ზურაბ ქაფიანიძის, დაახლოებით, ორმოცწლიანი დაკვირვებისა და კვლევა-ძიების შედეგად მიღწეული, მათემატიკური სიზუსტით არგუმენტირებული მეცნიერული პასუხები შუმერულ და სამყაროსეულ საიდუმლოებათა მთელ რიგ საკითხებზე, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს. რაოდენ პარადოქსადაც უნდა მოგვეჩვენოს ეს რეალობაა და მჯერა, რომ მას, ადრე თუ გვიან, დიდი საერთაშორისო აღიარება მოჰყვება, მიუხედავად მოსალოდნელი დიდი წინააღმდეგობებისა.

ამ ჭეშმარიტების აღიარებით დარგობრივ მეცნიერებებში დამკვიდრებული „ფეოდალიზმი" შეიძლება ხუხულასავით დაინგრეს, სამაგიეროდ მას მოჰყვება დედამიწაზე არსებულ ინტელექტუალურ გონთა მობილიზაცია მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერული ჭეშმარიტების სრულყოფის მიზნით, რაც გააქტიურებს საკაცობრიო კეთილშობილური იდეების ცხოველმყოფელობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

გენიალური გერმანელი ფილოსოფოსი ფ. ჰეგელი (1770-1831

წწ.) ამბობდა: „ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა ჭეშმარიტების დაუფლების წყურვილი“. ზ. ქაფიანიძის მიერ გაწეული უზარმაზარი შრომაც ამ მოხნითაა საყურადღებო, მით უმეტეს, რომ იგი უკვე დასრულებული სახითაა წარმოდგენილი, დროსა და სივრცეში წამების სიზუსტითაა ყველაფერი განსაზღვრული და დასაბუთებული.

ერთი ადამიანის მიერ გაწეული ეს ტიტანური შრომა აღემატება ზოგიერთი სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს.

ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა ქართული ასომთავრული ნიშნების ღრმა ფილოსოფიურ ჭრილში წაკითხვით, რასაც შუმერული ცივილიზაციის საწყისებთან მივყავართ.

შუმერთა ანბანი ქართული ასომთავრულიაო, — ბრძანებს ბ-ნი ზ. ქაფიანიძე. ცხადია, იგულისხმება ის ასო-ნიშნები, რომელიც წინ უსწრებდა ლურსმულ დამწერლობას.. ავტორის ასეთი გაბედული განცხადება მრავალ კითხვას ბადებს, მაგრამ ყველა კითხვაზე თვითონვე იძლევა ზუსტ, ამომწურავ, დამაჯერებელ პასუხებს.

მაინც, ვინ იყვნენ შუმერები?

ისტორიულ მეცნიერებაში ამაზე ასეთი პასუხი არსებობს: შუმერები შუამდინარეთში (ამჟამინდელი ერაყი) ძვ. წ. IV ათასწლეულში დამკვიდრდნენ: როგორც ფიქრობენ, იქ ისინი მოსული არიან სამხრეთიდან, კერძოდ, სპარსეთის ყურის სანაპიროებიდან. მათ შუამდინარეთში დახვდათ საკმაოდ დაწინაურებული, მკვიდრი მოსახლეობა, რომელთა მიღწევები შუმერებმა შეითვისეს და განავითარეს კიდეც. შუმერებმა შექმნეს პროტოლურსმული დამწერლობა. ათასამდე თიხის ფირფიტა აღმოჩნდა ძვ. წ. XXX საუკუნის დროინდელ ურუქის არქეოლოგიურ ფენაში და ა. შ.

ცხადია, ზუსტად არ ვიცით შუმერების შუამდინარეთში მოსვლის თარიღი. შესაძლოა, ეს უფრო ადრეც მოხდა. არც ის ვიცით, თუ ვინ იყო ის ხალხი, ვინც მათ იქ დახვდათ განვითარებული კულტურით. ხომ არ იყვნენ ისინი ქართული ასომთავრულის შემქმნელები? ან ხომ არ არიან შუმერები ეთნიკურად ერთგვაროვანნი იმ მოსახლეობასთან, რომელიც მათ დახვდათ შუამდინარეთში?

ერთი სიტყვით, მრავალი კითხვა იბადება, მათზე პასუხის გაცემა მხოლოდ ზ. ქაფიანიძის მიერ შედგენილ ანბანური სისტემის ტაბულებს, მზისა და მთვარის კალენდრებს თუ შეუძლიათ.

ამ დაკვირვებებითა და მათემატიკური გაანგარიშებებით შესაძლებელი ხდება ქართული დამწერლობის შექმნის სრულიად ახალი თარიღის განსაზღვრება, ასევე დედამიწაზე წარღვნის შემდგომ ადამიანთა მოდგმის მეორედ მოსვლის თარიღის დადგენა, დიდი ღმერთის, ანუ სიცოცხლის გამრიგის, ადგილის რიცხვითი მნიშვნელობის ამოცნობა და სხვა ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა.

ქართული ანბანის შექმნას რომ ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებენ, ეს ამ შემთხვევაში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სამაგიეროდ, დასტურდება აკად. ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარის, მიხ. წერეთლის, რ. პატარიძის მოსაზრებების ჭეშმარიტება ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულის შუმერულ სამყაროსთან ეთნო-კულტურული კონტაქტების შესახებ და სხვა.

მიხ. წერეთელი ათეული წლების განმავლობაში იკვლევდა ქართულ-შუმერული პარალელების საკითხს და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „სუმერული ქართულს ჰგავს ძლიერ. ჩვენ გვგონია, რომ ერთ უძველეს ენათა შტოს ეკუთვნის სუმერულიც და ქართულიც... ასეთი ნათესაობის საბუთი ანთროპოლოგიურიც არსებობს და ლინგვისტურიც".

აკად. ივ. ჯავახიშვილი ქართული ანბანის შექმნის შესახებ კი შემდეგს წერდა: „ეხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში, და არა საბერძნეთში, უნდა ვეძიოთ" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 228).

თუ ეს ასე არაა, მაშინ ქართლის ლეგენდარული მეფის, ფარნავაზის დროინდელ (ძვ. წ. IV-III სს.) რომელ ქართულ მწიგნობრობაზეა საუბარი?

თუ ეს ასე არაა, მაშინ როგორ შეიქმნა V საუკუნეში, დამწერლობის ტრადიციის არმქონე ხალხში, ისეთი მაღალმხატვრული ქართული ნაწარმოები, როგორიცაა, „შუშანიკის წამება?"...

შუმერულის ქართულთან და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ დებულებას სხვა მეცნიერებიც იზიარებდნენ. ასე მაგალითად, ცნობილი შუმეროლოგი ვ. ქრისტიანი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ შუმერულსა და კავკასიურ ენებს შორის ანალოგიები და შესატყვისები იმდენად ბევრია და საგულისხმო, რომ ძნელია, ეჭვი მივიტანოთ შუმერულისა და კავკასიურ

ენათა გენეტიკურ ნათესაობაზე.

შუმერულ ენას იბერიულ-კავკასიურ ტიპს აკუთვნებს ნ. ხოლმერი.

ქართველურისა და შუმერულის შორის მსგავსებას ხედავს შუმეროლოგი ზ. კიკნაძე...

არქეოლოგი ბ. კუფტინი მიუთითებდა, რომ კავკასია წარმოადგენს წინა აზიური კულტურის სამყაროს და რომ ძვ. წ. III ათასწლეულში უფრო ახლო ურთიერთობა ჩანს შუმერებთან და ელამთან, ვიდრე მცირე აზიასთან.

ამ ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჩანს ძველი მცირე აზიის ხალხებთანაც.

შუმერები რომ უძველესი ცივილიზაციის პიონერები არიან, ამიტომაც უწოდა ს. კრამერმა თავის წიგნს „ისტორია იწყება შუმერიდან“. ეს წიგნი მსოფლიოს სხვადასხვა ენებზეა გამოცემული.

შუამდინარეთში შუმერული ენა რელიგიისა და მეცნიერების ენად რჩება ძვ. წ. II-I ათასწლეულებამდე. შემდეგ იგი სემიტურით იცვლება.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, შუმერები ხმელთაშუა ზღვისა და ბალკანურ-კავკასიურ ევროპეიდულ რასას ეკუთვნიან. ეს ფაქტიც იძლევა იმის უფლებას, რომ შუმერულ და ქართველურ ენებში პარალელები ვეძიოთ. ამ მიმართულებით არავის გამოუყენებია ძირძველი ქართველური, მეგრულ-სვანური ენათა ლექსიკური მარაგი.

თუ სვანური ლექსიკური ფონდის მდიდარ სალაროში ჩავიხედავთ და ღრმად ჩავუკვირდებით თითოეული სიტყვის შინაარსს, დავრწმუნდებით, რომ მასში ჩანს არა მარტო ძველი ქართული ენის ძირები, არამედ მცირე აზიის ქართველთა მონათესავე თუ არამონათესავე ხალხების ენათა ელემენტები და თვით ამ ხალხების გარკვეული ნაწილის სატომო სახელებიც კი, რომლებიც დროის ხანგრძლივ მანძილზე ჩვეულებრივ სიტყვებად ქცეულან. ასე მაგალითად, სვანურად ლS-გუთე ნიშნავს „ზორზოხას“, „ამრეზილს“. შესაძლოა, ეს სიტყვა მომდინარეობდეს გუთი-ების სახელიდან. გუთიები უშუალო კავშირში იყვნენ შუმერებთან. ლS — სვანური პრეფიქსია.

იგივე უნდა ითქვას სვანურ სიტყვაზე. ხSთ, რაც „ვირიანს“ ნიშნავს. შესაძლოა, ეს სიტყვა მომდინარეობდეს ეთნონიმიდან ხეთი ან ხათი.

სვანი სუბელიანების ერთი ნაწილი 1925 წლამდე ატარებდა გვარს სუბარი. იგი ასოციაციას იწვევს ძველი მცირე აზიის ბინადარ ხალხთან — სუბარები.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ზემო სვანეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის სახელწოდების იდენტურობა ძველმცირეაზიურ ხალდეა-ქალდეასთან.

სვანები ნავს „ფილიკვაი"-ს ეძახიან. მსოფლიოს ისტორიაში პირველ მენავებად ცნობილი არიან ფინიკიელები და ა. შ.

ამ ფაქტების გამოსაკვლირებლად, სვანური ენის ღრმა ცოდნასთან ერთად, საჭიროა სვანური ყოფის, ზნე-ჩვეულებებისა და მთელი მისი სულიერი სამყაროს საფუძვლიანი ცოდნა.

ამდენად, ძირძველი ქართული ენის სვანური დიალექტი ის ჭოგრიტია, რომელიც საუკუნეებისა და ათასწლეულების მიღმა ჩაგვახედებს და დღემდე შეუცნობის შეცნობის საშუალებას მოგვცემს.

ქართველური ენებიდან შემორჩენილი ენობრივი ელემენტი ძირითადად რომ სვანურში დადასტურდეს, ეს არცაა გასაკვირი, რადგან სვანური იბერიულ-კავკასიურ ენებში ერთ-ერთი უძველესთაგანია, ხოლო იბერიულ-კავკასიური ენები ნარჩენია ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზს მოიცავდა. როგორც ირკვევა, საკითხი იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა გენეტური კავშირისა ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ტომებთან სამეცნიერო ლიტერატურაში დადებითად წყდება, როგორც კულტურულ-ისტორიულ — ისე წმინდა ლინგვისტურ ფონზე (ა. ურუშაძე, რ. გორდეზიანი).

საჭიროა, ქართველური ენების ლექსიკიდან შეირჩეს ისეთი მასალა, რომელიც ასახავს ამ ენების განვითარების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპს. მკვლევართა აზრით, „ამ მხრივ ძალზე საინტერესოა სვანური ენის მასალა, რომელმაც, როგორც ცნობილია, უფრო მეტად შეინარჩუნა არქაული ფორმები, ვიდრე ზანურმა და ქართულმა" (ჯ. შარაშენიძე, ვ. თოფურია).

აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს ადრეულ ხანაში საქართველოში გავრცელებული ცულები გენეტურად ძველ შუმერულ ცულებს უკავშირდებიან, მაგრამ ქმნიან ადგილობრივ ვარიანტს, შემდეგ, უფრო გვიან, აქედან ფართოდ რომ ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და დუნაისპირა ქვეყნებში (ო. ჯაფარიძე).

იგივე შეიძლება ითქვას სვანურ და, საერთოდ, ქართულ კოშ-

კურა ანსამბლების შესახებ, რომელიც პარალელებს პოულობს ხელი შუამდინარეთის კოშკურა არქიტექტურასთან. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით არქიტექტურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მ. ჯანდიერი: „არ შეიძლება, კოშკები სვანეთში მხოლოდ შუა საუკუნეებში გამოჩენილიყო, ვინაიდან საქართველოს ისტორიულ არენაზე ეს ფორმა არსებობდა უკვე III ათასწლეულის დასაწყისში ჩვ. ერამდე. 1000 წლის მანძილზე ანტიკური ავტორები არაერთხელ აღწერდნენ მსგავს ნაგებობებს ამიერკავკასიისა და, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე. კოშკურა სახლები მოიხსენიება სვანურ ეპოსში ამირანის შესახებ, რომელიც წარმოიშვა II ათასწლეულის შუა პერიოდში ჩვ. ერამდე“.

მეცნიერი იქვე ასეთ ფაქტებსაც ასახელებს: „არქაული და კლასიკური პერიოდების (2800-2600 წწ. ჩვ. ერამდე) სამი შუმერული პიქტოგრაფიული ნიშანი სვანურ ნაგებობებთან შედარებისას... ახლებურად იქნა წაკითხული“.

საყურადღებოა მ. ჯანდიერის შემდეგი დაკვირვებაც: „გამაგრებული საცხოვრებლის წარმოშობის, განვითარებისა და გაქრობის ისტორიაში, ქრონოლოგიურ ცვლილებათა ფართო დიაპაზონი პარალელს პოულობს გმირულ ეპოქათა ეპოსში, სხვადასხვა ხალხში განსხვავებულ პერიოდებში რომ იქმნებოდა. ასევე, შუმერების „გმირული საუკუნე“ მიეკუთვნება III ათასწლეულის პირველი მეოთხედის ბოლოს ჩვ. ერამდე. სვანური ეპოსი ამირანის შესახებ ჩნდება II ათასწლ. შუა პერიოდში ჩვ. ერამდე“.

რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღემდე სვანთა ყოფაცხოვრებაში ფუნქციონირებას განაგრძობენ შუმერული და სხვა მცორეაზიური რელიგიური კულტები: სუნდუქ, ტარუ, ფუსტი, აია, შამაშ, ლილე, ბარ-ბარ, ლამარი და სხვ. (იხ. თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 313-360).

ზ. ქაფიანიძე ადგენს წარღვნის შემდგომ დედამიწაზე ადამიანის მოდგმის დამკვიდრების თარიღს. ეს არის ძვ. წ. 5604 წელი. 1996 წელი საიუბილეო თარიღი იყო, დედამიწაზე, ადამიანთა მოდგმის ასაკმა 7600 წელს მიაღწია (5604+1996=7600).

ეს ფაქტი, რომ უფრო ადრე ყოფილიყო მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი, კაცობრიობა ამ იუბილეს ერთად აღნიშნავდა, ნიშნად სოლიდარობისა და დედამიწაზე მშვიდობის დამყარებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არავინ იცის და, მაშასადამე, იგი არავის ახსოვს. სამაგიეროდ, სხვა უამრავ დღესასწაულს დიდი ზარ-

იმით აღვნიშნავთ (თუმცა ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს).

საკაცობრიო კულტურულ მონაპოვართა შორის უპირველესია ანბანური დამწერლობის შექმნა, რამაც ბნელით მოსილი ადამიანის გონება ცოდნის უქრობი შუქით გაანათლა. მაგრამ ამ 7600 წლის მანძილზე ზუსტად ვერ დადგინდა პირველი ანბანური დამწერლობის შემქმნელი ხალხის ვინაობა. მართალია, ასეთად ფინიკიელები მიაჩნიათ, მაგრამ ეს მხოლოდ სინამდვილესთან მიახლოებაა და არა ჭეშმარიტება.

ცნობილია, რომ პირველი სადამწერლობო ნიშნების კლასიკური სისტემა (ლურსმული) შუმერებმა შექმნეს. შუმერები არიან უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის პიონერები. შუმერებიდან ლურსმული დამწერლობა და ცივილიზაცია ვრცელდება ძველი მცირე აზიის სხვა ხალხებში (ასურელებში, ხეთებში, ურარტუელებში და ა. შ.).

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში შუმერი სემიტებმა დაიპყრეს. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ცნობილი შუმეროლოგი სემიუელ ნოა კრამერი: „ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში ქალაქ აქადში მცხოვრებ სემიტთა მოდგმამ დაიპყრო შუმერი და შუმერ სწავლულებს თავიანთთვის შეაქმნევინეს ანბანი“, რომელსაც შემდგომ სემიტური ეწოდა. ეს მოხდა ძვ. წ. 2125 წელს. მანამდე კი, ძვ. წ. 5604 წლიდან ათასწლეულები ასაიდუმლეს შუმერებმა ასომთავრული ანბანი, მათ მიერვე შექმნილი ლურსმული დამწერლობით.

სემიტებს შუმერებმა ასომთავრული მაინც არ გაანდეს, არამედ მის საფუძველზე შეუქმნეს ახალი ასო-ნიშნები. სემიტური ანბანი, რომელიც შუმერებმა (სწავლულებმა) შეუქმნეს აქადელებს (სემიტებს) საფუძველი გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ანბანური დამწერლობის შექმნისა და გავრცელებისა (მოაბელებში, ფინიკიელებში, ებრაელებში, ბერძნებში, ლათინებში, არაბებში და სხვა).

თუ სემიტური ანბანის არქიტექტონიკასა და ასოთა კომპოზიციურ შედგენილობას დავაკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სემიტური ანბანი შუმერული ლურსმულის გავლენით არ არის შედგენილი.

შესაძლოა, აქადელებს ამის შესახებ რაღაც ინფორმაცია გაანდეს, ამიტომ ლურსმულით არ დაკმაყოფილდნენ და შუმერ სწავლულებს სხვა ანბანი მოსთხოვეს. შუმერმა სწავლულებმაც გამონახეს გამოსავალი და ასომთავრულის საფუძველზე შეუქმნეს ე.წ. სემიტური 22 მარტივი ასო-ნიშანი.

შუმერული, ანუ ქართული ასომთავრული დამწერლობა, დღემდე საიდუმლოდ შემორჩა. ეს არის ანბანური დამწერლობის უძველესი სისტემა (35 ასო-ნიშანი), რომელიც მთელ სამყაროსეულ საიდუმლოებას ინახავს, მათ შორის მზისა და მთვარის კალენდარის წამების სიზუსტით. ამ ანბანური სისტემის თითოეული ასო-ნიშანი ლურსმულისაგან განსხვავებით, წიგნივით იკითხება და უამრავ საიდუმლოებათა გასაღებს წარმოადგენს. ლურსმული დამწერლობის ნიშნები კი მშრალი და უშინაარსოა. მათ მხოლოდ პრაქტიკული ფუნქცია აკისრიათ.

ამგვარად, შუმერების მიერ საიდუმლოდ შენახული ანბანი ქართული ასომთავრულია (ზ. ქავთარაძე), რომელიც თავისი წარმოშობით კოსმიურია და სამყაროსეულ საიდუმლოებებს ძალუმად ინახავს.

აქედან გამომდინარე, დღემდე არაა გაგებული ქართველი მწიგნობრის იოანე ზოსიმეს (IV ან X ს.) „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც იგი წერს: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვია.

და მეგორობაი ამისთვის თქვა, რამეთუ ყოველი საიდუმლოი მას ენასა შინა დამარხულ არს“.

რამდენადაც ვიცით, ანბანის შესახებ მსგავსი ფილოსოფიური ტრაქტატი არც მანამდე და არც შემდგომ არ მოგვეპოვება არც ერთ ენაზე.

იოანე ზოსიმე ამბობს, რომ ყოველი საიდუმლო ქართული „ენისა“ (ანბანისა) მხოლოდ ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს გაცხადდება.

ამ „ენაში“ (ასო-ნიშანში) იგულისხმება ის სამყაროსეული საიდუმლოება, რომლის გაგება მხოლოდ ქართული ასომთავრულის, თითოეული ასონიშნის წაკითხვით, მისი ფილოსოფიური არსის ახსნით უნდა გახდეს შესაძლებელი.

მაშინ „ენა“ ანბანის ცნებით გაიგებოდა.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში საუბარია ქართული ასომთავრულის საიდუმლოებაზე, რომლის ყოველი ასო-ნიშანი მართლაც ენაა, ყოველთა საიდუმლოებაზე რომ მეტყველებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შუმერულსა და ქართველურში (სვანურში) ათეულობით სიტყვა-ტერმინთა, როგორც ფონეტიკურ, ისე შინაარსობრივ იდენტურობასთან გვაქვს საქმე. ასე,

მაგალითად:

| შუმერულად | სვანურად | ქართულად |
| --- | --- | --- |
| მარე | მარე | კაცი |
| შუ | ში | ხელი |
| მელამ | მელამ | ალი |
| გურუშ | გურუშ | მდაბიო |
| ნიცირი | ნეცირი | წართხალი |
| ადაბ | დაბ | ყანა |
| ამგაბ | ამგაბ | დაბალი |
| ეზენ | ეზერ | კარგი |
| ფეშ | ფაშა | დაღლა |
| და | თალ | სოლი |
| იერე | იერე | ვიღაცა, მონა |
| დი | დი | დედა, დიდედა |
| ქი | გიმ | მიწა |

და სხვ.

მათი რიცხვი ორას აღემატება და ისიც სვანურის მხოლოდ ერთ დიალექტში, თუმცა არც ამ კვლევას აქვს სისრულის პრეტენზია. ამ თვალსაზრისით ხელშეუხებელია მეგრული ენა.

როგორც ვიცით, შუმერებში გაბატონებული იყო ადამიანის ციდან მოსულობის რწმენა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქართული სიტყვა „ცისმარე“, რაც სვანურად ნიშნავს „ცისკაცს“ („მარე“ სვანურად და შუმერულად „კაცი“).

რელიგიურ კულტებზე და ეთნონიმებზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

შუმერულ-ქართული ასომთავრულის საიდუმლოების გასაღები გახდა უძველეს შუმერულ ფირფიტებზე შესრულებული იდეოგრამები, შუმერული ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშები, ჩუქურთმები და ა.შ., რაც ასოციაციას იწვევს ქართულ ხელოვნებაში, ჩუქურთმაში, ეთნოგრაფიულ ყოფასა და კულტურაში, საწესჩვეულებო რიტუალებში, ქართულ წარმართულ კულტებში, სიმღერებსა და ჰიმნებში, ფოლკლორში, ლექსიკაში, კვირადღეების სვანურ-ზანურ სახელებსა და სხვ.

მზისა და მთვარის ანბანი — ქართული ასომთავრული, მდაბიო ანბანისაგან არაა შედგენილი, როგორც ეს ზოგიერთ მეცნიერს ჰგონია.

წარღვნის შემდეგ მეორედ მოვლა, ანუ თანამედროვე ადამიანის მოდგმის დედამიწაზე დამკვიდრება, რომელიც ზ. ქაფიანიძის მიხედვით, ძვ. წ. 5604 წელს მოხდა, სამყაროსეული გონის ნებით, შუმერულ-ქართული ასომთავრული ანბანის ფილოსოფიური სიბრძნის ძღვენით დაგვირგვინდა.

სამყაროსეული გონი — უფალი ღმერთი ერთადერთია და მისი ადგილი ღ-ანის მიხედვით ცისა და მიწის სამყაროში, როგორც სიცოცხლისა და ცხოვრების გამრიგისა არის 25. გენიალური ქართველი პოეტის (XII ს.) რუსთაველის მიხედვითაც ღმერთი ერთადერთია:

„ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა"...

სხვადასხვა სახეებითა და ფორმებით ამასვე აღიარებენ დღეს დედამიწაზე არსებული კლასიკური რელიგიები.

ამგვარად, დედამიწის მთელი მოსახლეობისათვის უფალი ღმერთის აღიარებას და მისადმი რწმენას საფუძველი გააჩნია, ხოლო მეცნიერულად კი ზ. ქაფიანიძის ნაშრომშია დასაბუთებული.

ამ დიდი პრობლემის დადებითად გადაწყვეტა პლანეტის სხვადასხვა რელიგიის მატარებელ ხალხებს შორის კონსოლიდაციის, ურთიერთგაგების, ნდობისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს, რაც ესოდენ საშური საქმეა ნაღმის კასრზე მჯდარი მსოფლიოსათვის.

ყველასათვის საერთო, უფალი ღმერთის უზენაესობის აღიარება არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ ეწინააღმდეგება.

ომებითა და ურთიერთქიშპობით დაღლილი დედამიწის ბინადარნიც იმისათვის ისწრაფვიან, რომ ხალხებსა და სახელმწიფო მესვეურთა შორის მოისპოს რელიგიური წინააღმდეგობანი, გაერთიანდნენ ერთი საერთო მრწამსის გარშემო. ამის საილუსტრაციოდ შემდეგი ფაქტიც გამოდგებოდა, კერძოდ: „ბრაზილიაში არის რელიგიური შემრიგებლობის ტაძარი, რომელიც სპეციალური მოწყობილობის საშუალებით კოსმოსიდან იღებს ენერგიას და ტაძარში მყოფთ პოზიტიურად მუხტავს, რაც საწინდარია იმისა, რომ სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებმა გაუგონ ერთმანეთს და ქვეყნად არ იყოს რელიგიური შუღლი, მტრობა და, რაც მთავარია, რელიგიურ საფუძველზე სისხლის ღვრა, რომ ადამიანებს შორის შუამავალი იყოს სათნოება, სიყვარული და კეთილი ურთიერთობა" (ტელეგადაცემა მოსკოვიდან, 1993 წლის 12 სექტემბერი, საღამოს 6 საათი).

ზ. ქაფიანიძის გამოკვლევა ამ თვალსაზრისითაც უნიკალურია.

ზ. ქაფიანიძის მიხედვით, ყველაფრის საწყისია რიცხვი 15 (5+6+0+4=15).

ყველა ასო-ნიშანს თავისი რიცხვიერი მნიშვნელობა გააჩნია.

მთვარე და მზე არც ერთ სადამწერლობო ანბანში ასო-ნიშნებად, გარდა ქართული ასომთავრულისა, არ გვხვდება.

ქართული ასომთავრული ანბანის ღრმა ისტორიულ-ფილოსოფიურ ჭრილში შესწავლა საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეა და იგი მოემსახურება ღვთის დედამიწისეული სახლის ბინადართა სიცოცხლის კეთილხმოვანი ჰარმონიის შექმნას, სიძულვილისა და ბოროტების დათრგუნვას, მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებას, უაზრო რელიგიურ დაპირისპირებათა დაძლევას, ერთმანეთისადმი ზრუნვასა და სიყვარულს.

სულაც არ არის საჭირო მაღალი სამეცნიერო ტიტული იმისათვის, რომ დიდი აღმოჩენის ავტორი გახდე. ამის არაერთი მაგალითი არსებობს. როგორც დიდი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე (დაახლ. ძვ.წ. 460-370) ამბობდა: „საქმის არსი ბევრის ცოდნა კი არაა, არამედ გონივრული ცოდნა“.

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ზ. ქაფიანიძის მიმართ. ალბათ, იშვიათია მეცნიერი, რომელსაც ასეთი სიზუსტით დაესაბუთებინოს თავისი საკვლევი პრობლემა, როგორც ეს ზ. ქაფიანიძემ შეძლო. მას შეუძლია, მეცნიერთა ნებისმიერ კითხვაზე ამომწურავი პასუხები გასცეს.

ამდენად, ზ. ქაფიანიძეს თავისუფლად შეუძლია გაიმეოროს იტალიელი ფილოსოფოსისა და პოეტის ჯორდანო ბრუნოს (1548-1600 წწ.) სიტყვები: „მე ვარ უაკადემიო აკადემიკოსი და არ მყავს კოლეგები უმეცართა შორის“. ზ. ქაფიანიძეს მართლაც არ ჰყავს უმეცარი კოლეგები. მის კოლეგებად ითვლებიან წარსულსა და აწმყოში მოღვაწე ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი დიდი ნიჭის წყალობით, განათლებითა და ღრმა ფილოსოფიური ჭვრეტით გრძნობდნენ და აღიარებდნენ იმ ჭეშმარიტებას, რასაც ზ. ქაფიანიძე ასე დაბეჯითებით გვიმტკიცებს. ესენი არიან: ი. ჭავჭავაძე, მიხ. წერეთელი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, რ. პატარიძე და სხვ.

1992 წლიდან გამოდის გაზეთი „შუმერი“. მასში ქვეყნდებოდა ზ. ქაფიანიძის ახალი მიგნებები, დაკვირვებები და გამოკვლევები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ არც ერთ კვლევით ინსტიტუტსა და მასში მომუშავე სათანადო დარგის მეცნიერებს ამ მასალების მიმართ არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ, არც დადებითი და არც უარყოფითი. ასეთი დუმილი დღემდე გრძელდება.

გაზეთი „შუმერის“ 27 ნომერი გამოვიდა. მასში გამოქვეყნებული ყველა მასალა ცალკე წიგნადაა გამოსაცემი სხვადასხვა ენებზე, რათა ამ უდიდესმა აღმოჩენამ აალაპარაკოს მსოფლიოს გამოჩენილი შუმეროლოგები, ენათმეცნიერები და ისტორიკოსები, თეოლოგები და ფილოსოფოსები.

კმარა დუმილი!

თუ ეს აღმოჩენა მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს, ესეც უნდა ითქვას; თუ უძლებს, მაშინ მას მწვანე შუქი უნდა მიეცეს. თუ რატომ არ ვაძლევთ მწვანე შუქს, ამაზეც პასუხია საჭირო.

თუ შუმერები ქართული ასომთავრულით არ სარგებლობდნენ, მაშინ საიდან გაჩდნენ ქართული ასომთავრული ნიშნები ღ-ანი და ქ-ანი ძვ. წ 5000 წლის თიხის ფირფიტებზე? ამასთანავე ღ-ანი გამოსახულია საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის კედელში თავის კალენდრით — 24 საათითა და 12 თვით და ა. შ.

იგივე ითქმის ქ-ანზე, რომელიც მცხეთაში ნანახ ქოთანზეა გამოსახული. ეს ქოთანი ძვ. წ. 3000 წლითაა დათარიღებული.

თუ ქართული დამწერლობა შუმერული ცივილიზაციის დროინდელი არაა, მაშინ რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს იმ ფაქტს, რომ მცხეთაშივე ნანახ ჭ-ანის და ქ-ანის თიხის ბეჭდები ძვ. წ. 3000 წლითაა დათარიღებული?

თუ ქართული დამწერლობა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება, მაშინ საიდან გაჩნდა რაჭაში (ბრილი) ნაპოვნ ბრინჯაოს ცულზე ქ-ანის გამოსახულება? ეს ცული ძვ. წ. II ათასწლეულს მიეკუთვნება.

1996 წლის 1-5 ნოემბერს ქ. თბილისში, გამომცემლობა „მერან“-ის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ზ. ქაფიანიძის მეცნიერულ ნამუშევართა გამოფენა. მიუხედავად შეზღუდული პირობებისა და დროისა, ეს გამოფენა უამრავმა ადამიანმა დაათვალიერა. ჩვენს ხელთ არსებობს ამ გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნი, სავსე აღტაცებისა და სულიერი კმაყოფილების სტრიქონებით. ისინი ერთხმად აღიარებენ ზ. ქაფიანიძის მეცნიერული კვლევის სიმართლეს. მათი ავტორები არიან ცნობი-

ლი მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა ანბანური ცივილიზაციის ცენტრი „შუმერი". მართალია, მისი ფეხზე დაყენება ჯერჯერობით ადამიანთა მცირე ჯგუფის ენთუზიაზმს ემყარება, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში მის მიმართ ყურადღებას გამოიჩენენ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები კულტურის, განათლების, საგარეო საქმეთა სამინისტროები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და სხვ.

საჭიროა მსოფლიო შუმეროლოგიის ცენტრებთან კონტაქტების დამყარება, ზ. ქაფიანიძის შრომების უცხო ენებზე გამოქვეყნება, ასევე ქართველურ-შუმერული პარალელების ღრმად შესწავლა და კვლევის შედეგების სხვადასხვა ენებზე გამოცემა.

ყველაფერ ამას ფინანსური შესაძლებლობანი სჭირდება, რაც აღნიშნულ ცენტრს არ გააჩნია, უფრო მეტიც, დღემდე ვერ მოხერხდა ამ სამეცნიერო ცენტრის სამუშაო ფართით უზრუნველყოფა.

არ გვყავანან სპონსორები. სპონსორი, რომელიც ამ სამეცნიერო ცენტრს დააფინანსებს, სახელმწიფოსაგან რაღაც შეღავათებით გარანტირებული უნდა იყოს.

აღნიშნული აღმოჩენებისადმი ყურადღების მიქცევა საშური საქმეა, რადგან ყველაფრის გადმოცემა და ახსნა ჯერჯერობით მხოლოდ ერთ პიროვნებას (ზ. ქაფიანიძეს) შეუძლია.

საჭიროა სპეციალისტების მომზადება და ამ დიდი მონაპოვრის მსოფლიო კუთვნილებად ქცევა.

1997 წლის მეორე ნახევარში სამეცნიერო ცენტრი „შუმერის" ეგიდით, გამოჩენილ შუმეროლოგთა მონაწილეობით, განზრახული გვაქვს ქ. თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწვევა. ეს დიდი ღონისძიება ჩატარდება, თუკი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაგან, კულტურის, განათლებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებისაგან მხარდაჭერა გვექნება.

მანამდე კი საქართველოს მთავრობასა და ხელისუფლებას ვთხოვთ, რომ ანბანური ცივილიზაციის კვლევის ცენტრი „შუმერი" რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რანგში აიყვანოს.

პრობლემა, რომელსაც ეს ცენტრი ამუშავებს, საკაცობრიო მნიშვნელობისაა.

დანარჩენი მომავალმა განსაჯოს.

თეიმურაზ მიბჩუანი

# შუმერულ-ქართული (სვანური) პარალელები

სვანური და მეგრული (ზანურ-ჭანური) ქართული ენის უძველესი დიალექტებია. სვანები ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, მეგრელები კი დას. საქართველოს ბარში.

ქართულ ფუძე-ენას სვანური ძვ.წ.მესამე ათასწლეულის ბოლოს, ან მეორე ათასწლეულის დასაწყისში უნდა გამო- ჰყოფოდა. მეგრული კი უფრო გვიან. სვანური ფაქტიურად ქართული ფუძე-ენის გადარჩენილი ნაწილია, ანუ უძველესი ქართველური ენა, არაქაიზმებით მდიდარი. იგი მცირე აზიის უძველესი ცივილიზაციების შემქმნელი ხალხების ენათა ელემენტებსაც შეიცავს, განსაკუთრებით კი შუმერულს.

ამჟამინდელი სვანური ენა ოთხი დიალექტისაგან შედგება — ბალს ზემოური, ბალს ქვემოური, ლაშხური და ლენტეხური. მართალია ამ დიალექტებზე მოლაპარაკე სვანები ერთმანეთს კარგად უგებენ, მაგრამ თითოეულ მათგანს გააჩნია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სიტყვებიც. მაგალითად, ბალს ქვემოურ დიალექტზე „ნაუ“ ახალგაზრდა მამაკაცის აღმნიშვნელად იხმარება. სვანურის სხვა დიალექტებში ეს სიტყვა არ არსებობს და ა.შ. ამიტომ შუმერული სიტყვა, რომელიც ერთ რომელიმე დიალექტში არ დადასტურდება, შეიძლება სხვა სვანურ დიალექტებში აღმოჩნდეს.

ჩვენ ამ შემთხვევაში გამოყენებული გვაქვს მხოლოდ ერთი — ბალს ზემოური დიალექტი, ამიტომ მას, ცხადია, სისრულის პრეტენზია არ აქვს. მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ, რადგან აღნიშნული პრობლემის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივა უკვე არსებობს. ამ მხრივ ხელუხლებელია მეორე ძირძველი ქართული ენის — მეგრული დიალექტი.

როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, თუ კი ათასი წლის განმავლობაში ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდი 15 პროცენტით იცვლება, მაშინ სვანურსა და მეგრულში ეს ცვლილება

დაახლოებით 60 პროცენტით უნდა გარისაზღვროს, რადგან III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში შუმერები სემიტებმა დაიპყრეს. მის შემდეგ ოთხი ათასზე მეტი წელი გავიდა (4x15=60).

მაშინ, დღევანდელ სვანურსა და მეგრულში დაახლოებით 40 პროცენტი შუმერული სიტყვები უნდა მოიძებნოს და ეს ადვილი შესაძლებელია, რადგან თუ კი სვანური ენის ერთ დიალექტში ამ საწყის ეტაპზე, არასრულყოფილი გამოკვლევის შედეგად 200-ზე მეტი შუმერული სიტყვა-ტერმინი გამოვლინდა, ეს იმის გარანტიაა, რომ უახლოეს დროში სასურველ შედეგს მივიღებთ.

ამჯერად, სანიმუშოდ წარმოვადგენთ ფონეტიკურად და შინაარსობრივად იდენტურ შემდეგ შუმერულ-სვანურ სიტყვა-ტერმინებს:

| შუმერულ (შუამდინარულ) | ქართული (სვანური) |
|---|---|
| მარ (მარუმ)(კაცი) | მარე (კაცი) |
| გურუშ (მდაბიო) | ლუ-გურუშ-ე (მოდღურული, მდაბიო) |
| ლუგალ (მმართველი) | ლუგაე (ღონიერი, მძლეთამძლე) |
| შუმერი (გეოგრაფიული და ეთნიკური სახელი) | შუმეერ (დასასვენებელი, მყუდრო) |
| გუთიები, გუთი (ზაგროსის მთიანეთში მცხოვ. ხალხი ძვ.წ. III ათასწლ.) | ლუ-გუთე (ამრეზილი, ზორზოხა) |
| ქადინგირა (ასე უწოდებდნენ შუმერები ბაბილონს) | ქად-ინგირ (სვან. „ქად"-ცთუნება, აგრეთვე „ცხიმიანი პური". ინგირ-მდინარე სვანეთში) |
| ინგირ (მზისეული ენგურის სახლი) | ინგირ მდინარე სვანეთ-სამეგრელოს ტერიტორიაზე. |
| ნიცირი (მთა, რომელსაც მიადგა ბიბლიური ნოე, ანუ შუმ. უთნაფიშდიმი) | ნეცირი (ლეცირი) (წართხალი — სამკურნალო ბალახი) |
| შარ („მეფე") | შარ (მობეზრება, მომაბეზრებელი) |
| თუ („შობა") | ლი-თუ-ე (დაბადება) |
| მელამ (ბრწყინვალება, ელვარება) | მელამ (ცეცხლის გამონაშუქი, ელვა) |
| ნუსქუ (ცეცხლის ღვთაება) | ნემესქ (ლემესგ) (ცეცხლი) |
| გუბ (დგომა ერთ ადგილას) | გვიბ (გუბე, ერთ ადგილას მდგარი წყალი) |
| ადაბ (ერთ-ერთი ადგილის სახელი) | დაბ (ყანა) |
| ამგაბ (დაბალი) | ამგაბ.(დაბალი, ტყავზე ბალანის, ბეწვის გაძრობა) |
| გეშთუ (ყური) | შდიმ (ყური) |
| ადაპუ (ბრძენი) | ბაპუ (ბლედელი, მოძღვარი) |
| ეზენ (დღესასწაული) | ეზერ (კარგი) |
| გუზა (ტახტი) | ლა-გუზა (რისამე დაუფლება, მოზიდვა) |
| თი (ცხოვრება) | ლი-თი (ლი-თუე) (მკა, დაბადება) |
| ქალ-ან ქალ-ლა (ფასდაუდებელი) | ლქაალ (ფასდაუდებელი) |
| ხარ (ხარი) | ხარი (ხარი) |

| | |
|---|---|
| ქუმ (ამოხენემი, ქომინი) | ლი-ქუმ-იელ (ამოხენემა, ქომინი) |
| ბარ (დაბლობი, უდაბნო) | ბარ (დაბლობი, ველე) |
| ნუ (უარყოფა-არა) | ნუ (არა) |
| ფემ (ამოსუნთქვა) | ფამ-ა (დაღლილის სუნთქვა) |
| ირინი (ბრწყინვალება, სინათლის ღვთაება) | ირპი (თენდება, სინათლე, ბრწყინდება) |
| მიუშარ (წვრილმანი ღვთაება) | მუშარ (კვირადღეების ციკლი) |
| მურიმ (ცის მსახური წვრილმანი ღმერთი) | მორელ (ცა) |
| და (სოლი) | თალ (სოლი) |
| უდუ (ცხვარი) | დუხ (ერკემალი) |
| გინ (ფეხი) | ლიგინე (ლი-გინ-ე) (დგომა) |
| გაცი (მდოგვი) | კაც-ი (კენწემა) |
| სუბ-შუბ (დაცემა) | სუბი (ცეკვა დაცემითი ილეთებით) |
| იერე (ვილაცა)-მონა | იერე (ვილაცი) |
| ლაგალ (ღვთის მსახური) | ლაქალ (სანაქებო) |
| დილი-დილუ (თითო-თითო) | დილა-დილუ (მისამღერი) |
| სუ-შუ (ხელი) | შუ-ში (ხელი) |
| სატუ (შიშველი) | სატიაი (შიშველი) |
| დი (დიდი-დედა) | დი (დედა) |
| ესიგ-გა (აგურის სახლი) | მეზიგა (ლაზიგა) (მოსახლე) |
| დადუ (სიყვარული) | დადილ (საყვარელი) |
| ბაუ (მიწათმოქმ.) | ბაუ (მიწური) |
| ბაალი (უფალი) | ბაალ-ი (გორაკს ჰქვია, რომელიც სვანეთს ორ ნაწილად ყოფს) |
| ქი (გი) (დედამიწა) | გიმ (დედამიწა) |
| გემუა (ღმუილა ღმერთი) | გამუ (ერთგვარი ძაღლი) |
| გალი (ქალი) | ქალი (ქართულია) |
| ნანა და გალ (ქალ-ღმერთები) | ნანა-გალ (დედულეთი) |
| ნიდაბა (ყანის ღმერთი) | დაბარ (ყანები) |
| ქალდეკ (მხარე შუა მდინარეთში) | ხალდე (სოფელი სვანეთში) |
| ხუბერი (ქვესკნელის მდინარე) | ხუბერი (მდინარე და სოფელი ენგურის პი-რას) |
| ლახამუ (ღეთაება) | ლახამულ (სოფელი სვანეთში) |
| ნამთარ (განსჯა) | სვან. „ნალთარ", აგრეთვე განსჯას ნიშნავს |
| ექური („სახლი-მთა") | სვან. „ქორ-ი" — სახლი |
| და სხვ. | |

ასეთ ფონეტიკურ და შანაარსობრივ იდენტურობას ამჟღავნებენ დანარენი შუმერულ - სვანური სიტყვებიც.

# შუმერულ-ძველმცირეაზიური რელიგიური კულტები სვანეთში

სვანეთში დღემდე შემორჩა შუმერულ-ძველმცირეაზიური რელიგიური კულტები სალოცავების, ჰიმნებისა თუ საგალობლების სახით. მეოთხე თუ არა, VI საუკუნიდან მაინც სვანეთში არსებობს უამრავი ქრისტიანული ეკლესია-მონასტერი. საქართველოს ამ ძირძველმა კუთხემ დღემდე შემოინახა მსოფლიო მნიშვნელობის არა მარტო ხელოვნების უნიკალური ძეგლები, არამედ ქრისტიანული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებიც, მათ შორის ე.წ. ადიშის ოთხთავი (IX ს.) და სხვ. მიუხედავად ამისა, ქრისტიანულის გვერდით სვანეთში დღემდე ფუნქციონირებენ შუმერულ-ძველმცირეაზიური რელიგიური კულტების სახელზე არსებული სამლოცველოები (ფუსტის, ლამარის, ბარბარის ეკლესიები და სხვ.), რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ქრისტიანული ჰგონია.

წარმართული კულტების ქრისტიანულთან შერწყმის ეს ერთადერთი ფაქტი როდია. როგორც ჩანს, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მთლიანად ვერ წალეკა წარმართული სულიერი კულტურა და იგი გადმონაშთის სახით დღემდე შემორჩა სიმღერებში, ჰიმნებში, საწესჩვეულებო რიტუალებში, ხელოვნებაში, ქრისტიანულ რელიგიაში.

მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ ამ სალოცავებს, სამლოცველოებსა და ჰინ-საგალობლებს.

## ს უ ნ დ უ ქ

სვანების რწმენით „სუნდუქ დეცეშ" („ცის სუნდუქი") ერთერთ უმაღლეს ღვთაებად იყო მიჩნეული. მის სახელზე ასუქებდნენ ხარებს, რომელსაც „სუნდუქ-ვაი"-ს ეძახდნენ. მისი უღელში შებმა დღიდან სუნდუქის სახელზე გაპიროვნებისა, არავის არ შეეძლო. მისი არც ცემა შეიძლებოდა.

როდესაც ამ ხარს დაკლავდნენ, სვანები ღვთაება სუნდუქს ასე ევედრებოდნენ: „დიდება ცის სუნდუქს, შენგნით მოვლენილი სენი აშორე მლოცველი ოჯახის ყველა წევრს".

ტერმინ „სუნდუქს" სვანები ვერ განმარტავენ და მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, იგი მაინც ძლიერ სწამთ.

ეს ტერმინი ისეთივე წარმომავლობისაა, როგორიც არის ბაბილონური „მარდუქ“ (შდრ. სუნ-დუქ და მარ-დუქ). მარდუქი ძველ ბაბილონელებს წარმოდგენილი ჰქონდათ ფრთოსანი ადამიანის მსგავს არსებად. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ცის ღვთაება სუნდუქთან დაკავშირებითაც.

## ა ი ა

აია ძველი შუამდინარული ღვთაებაა. იგი შამაშის საცოლედ ან ცოლადაა მოხსენიებული. სვანებმა შამაშისადმი რწმენაც შემოინახეს (იხ. ქვემოთ). შუმერულ ტექსტში ერთგან ვკითხულობთ: „ყოველ წელიწადს, გმირო მეომარო შამაშ და აია, ჩემ კეთილ საქმეთ სიხარულით მოპხედავდეთ“.

გილგამეშის ეპოსში აია გმირის მეოხეა შამაშის წინაშე. შუმერული მითოლოგიის მიხედვით ღამით ცაზე აია ცვლის შამაშს. დილით კი მზესთან შეხვედრისას სალმით ხვდება და გუნებას უკეთებს შამაშს: „აია, საყვარელი მეუღლე შენი მოგესალმოს“ (შდრ. ქართული ფოლკლორული ნიმუში: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი, ბღუჯა-ბღუჯა ვარსკლავები დაძმებია ჩემი“).

ჰამურაბის (ძვ.წ.XVIII ს.)კანონების პროლოგში მოხსენებულია აია შამაშთან ერთად.

აია ურარტულშიც დასტურდება და ხეთურშიც.

აია ძველად კოლხეთის (დასავლეთ საქართველოს) სახელწოდება იყო. ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებიდან აია იცვლება ტერმინით კოლხეთი, რის შემდეგაც ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები ხშირად ხმარობენ ტერმინს „აია-კოლხეთი“.

აია სვანებში მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალღვთაება იყო. აიას დღეობას სვანეთში აღნიშნავდნენ კვირა დღეს. ამ დღეს სვანურად „აია-მიშლადედ“ („აია-მზის დღე“) ეწოდებოდა. ამჟამად აიას დღეობას მხოლოდ სვანეთის ერთ სოფელში — უშგულში აღნიშნავენ ივლისის შუა რიცხვებში. რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებენ.

## შ ა მ ა შ

შამაში ძველ შუამდინარეთში მზის ღვთაებად ითვლებოდა. სვანეთში „შამაშ“ ერთ-ერთ უძველეს საფერხულო სიმღე-

რის სახითაა შემორჩენილი, რომლის ტექსტი ასეთია:

„შაიამა შამაშრერა, ჰორი ჰორირა,
შაიამა შამაშრერა ჰოი ჰო ჰო!    რერა,
ჰორირა ჰორი, ჰოი ჰორი,
ჰორი ჰორირა.
შაიამა შამაშრერა ჰორი ჰო! ჰორი
ჰორირა, შაიამა შამაშრერა შარა შამარე, ჰო!
რა, ჰო!“

ამ ტექსტში ფაქტიურად სამი სიტყვის განმეორებასთან გვაქვს საქმე. ესენია: შამაშ, რე-რა,. ჰორირა.

მართალია სვანები ამ სიმღერას ასრულებენ, მაგრამ მასში ნახმარი არც ერთი სიტყვის შინაარსი არ ესმით. მიუხედავად ამისა, ეს სიმღერა ხალხში დიდად პოპულარულია.

ეს სიმღერა მზის საგალობელი ჰიმნია. გარდა შამაშ სიტყვისა მასში ფიგურირებს მზის სხვა სახელებიც: რე და რა.

ამგვარად, სვანური „შამაშ-რე-რა“ მზის გასამშაგებული მოძახილია, მსგავსად ძველი ქართული სიმღერისა: „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ შინ შემოდიო“.

ძველშუამდინარეთის უზენაესი ღვთაების „შამაშ“-ის დღემდე სვანურ (ქართულ) სინამდვილეში არსებობის ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს, მითუმეტეს რომ იგი ერთად-ერთი მაგალითი როდია.

# ლ ი ლ ე

შუამდინარეთის უძველეს ღვთაებათა პანთეონში ენ-ლილი („უმ. „უფალი ჰაერისა და სივრცისა“) უზენაესი ტრიადის წევრია. ენ-ლილის ტაძარი იდგა ქ. ნიფურში, რომელსაც ეწოდებოდა „ექური“ („სახლი მთისა“; შდრ. სვან. „ქორ“ - „სახლი“).

მითის მიხედვით ენ-ლილმა გააშორიშორა ერთამანეთისაგან ცა და მიწა და თავისი „ოქროს ცულით“ გადაკვეთა მათი შემაკავშირებელი „ჭიპლარი“, თავად ჩადგა რა მათ შორის. ამიტომ იგი მთასავით არის აღმართული ცასა და მიწას შორის და ეწოდება „ქვეყნის გამვრცობი უფალი“, რაც შეესატყვისება მისი სახელის შინაარს („უფალი სივრცე“). ენ-ლილი ითვლება კაცობრიობის ღმერთად, შუმერული ხალხის ეროვნული ერთიანობის ღვთაებად. ენ-ლილის შვილთა შორისაა: დადი, შამაში და სხვ.

ენ-ლილის მამა იყო ან („ცა“). ენ-ლილი კეთილ და ლმობი-

ერ ღმერთად ითვლებოდა. მას მიაწერდნენ ქალაქების, მცენარეთა სამყაროს შექმნას და რაც მთავარია, სამიწათმოქმედო იარაღების თოხისა და გუთნის გამოგონებას.

ენ-ლილის მამის ანის მეუღლე იყო ქალღმერთი ქი („მიწა“; შდრ. სვან. „გიმ“-„მიწა“). ენ-ლილი თავისი დედა-მამის ფუნქციების შემსრულებლად გვევლინება, ე.ი. „ცისა და მიწის მეუფეა“. ენ-ლილი არის მიწათმოქმედების ღვთაებაც („გუთანს რომ უძღვები, ეს შენ ხარ ენ-ლილ!“).

რადგან ენ-ლილი თავისი დედ-მამის ფუნქციების შემსრულებელიც იყო და ცისა და მიწის გამგებლადაც გვევლინება, ამიტომ მის სახელს „ლილ“, წინ ერთვის შუმერულში მმართველის ტიტულის აღმნიშვნელი სიტყვა „ენ“ („ენ-ლილ“).

ეს არის იგივე სვანური „ლილ“, ანუ „ლილე“.

„ლილე“ უძველესი სვანური ჰიმნია. როგორც შუმერული, ისე სვანური ტექსტის მიხედვით „ლილე“ არის უზენაესი ღვთაება. ლილესადმი მიძღვნილი სიმღერის ტექსტში იხსენიებიან ხარები, გუთანი, ირემი, ვერძები, უზადო სახლი, ციხის ქონგურები, ოქროს რქები. მაგრამ ლილეს არც ერთ ტექსტში (არც შუმერულ და არც სვანურში) მზე არ მოიხსენიება. ამიტომ ცდებიან ისინი, ვისაც ლილე მზის ღვთაება ჰგონია.

„ლილეს“ სვანურ ტექსტში ნახმარი თითქმის ნახევარი სიტყვებისა სვანებისათვის გაუგებარია. მაგრამ თვით ჰიმნი უპირველესია სვანებისათვის და არა მარტო, მას მთელი საქართველო მღერის.

ამგვარად, „ლილე“ (სვანურ ტექსტში, აგრეთვე იხმარება ფორმით — „ლილ“) უძველესი შუმერული ღვთაება „ენ-ლილ“-ის ასოცირებული ფორმაა, რომელმაც ჰიმნის სახით დღემდე მოაღწია.

# ბ ა რ - ბ ა რ

შუმერებში „ბარა-ბარა“ მზის ღვთაებას ეწოდებოდა. იგივე სახელს ატარებდა მისი სახელობის სალოცავი.

„ბარ-ბარ“ სვანეთში ასტრალური ქალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა. ბარ-ბარის (ანუ „ბარბალეს“) სახელობის ეკლესიები დღემდე არსებობს სვანეთში. ბარ-ბარობა 24 დეკემბერს აღინიშნება.

წმ. ბარბალე, რომელმაც მზის ღვთაების ზოგი ფუნქცია შე-

ითვისა, ინფექციური და თვალის სნეულებათა განმკურნებლადაც ითვლებოდა.

„შამაში“-საგან „ბარა-ბარა“ იმით განსხვავდება, რომ იგი უშუალოდ მზეს არ აღნიშნავს. მაგალითად, „ან-ბარი“ შუმერულად ნიშნავს „ცეცხლი ციდან“ (შედრ. მეგრული (ქართული) „ჟინი ან-თარ“).

„ბარ“ გაიგება, როგორც ცეცხლოვანი მასა, ცეცხლოვანი ელვარება. ქართული ენის გურულ კილოში „ბარა-ბარა“ ცეცხლის აღნიშნავს.

„ან-ბარს“ შუმერები მეტეორული რკინის აღსანიშნავადაც ხმარობდნენ.

როგორც, ჩანს შუმერული „ბარა-ბარა“ ქრისტიანულ სამყაროში „ბარბალეთი“შეიცვალა.

სვანების რწმენით „ბარა-ბარა“ („ბარ-ბალ“) ერთ-ერთი უზენაესი ღვთაებაა, რომლის სახელზეც ძროხას, ან საფურე ხბოს ასუქებდნენ. მას „ბარბლაის“ეძახდნენ. იგი შეიძლება, აგრეთვე ხარი ან ვერძი, ან ვაცი ყოფილიყო. სვანეთში შემოინახეს ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი სიმღერა-საგალობელი.

# ლ ა მ ა რ ი

ლამარი შუმერებში ცნობილი იყო, როგორც ადამიანის თანმდევი, მფარველი ანგელოზი. შუმერული „ლამარი“-საგან უნდა მომდინარეობდეს სვანეთში არსებული „ლამარია“, რომელსაც წმ. მარიამის ფუნქციები აქვს დაკისრებული, მაგრამ იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, თუნდაც იმიტომ, რომ „მარიამ“ ქალის სახელისაგან არასგზით „ლამარია“ არ მიიღება. იგი ამ შემთხვევაში ხელოვნურობის ნაყოფია. გარდა ამისა „ლამარიას“ რიტუალს ბევრი წარმართული ელემენტი ახლავს. ამასთანავე „ლამარია“-ს სვანების ღვთაებათა პანთეონში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.„ლამარიას“ ბოლო სადღეგრძელოთი ახსენებენ, რაც მას ანგელოზის დონეზე აყენებს და არა ღმერთების. შუმერულშიც „ლამარი“ ანგელოზი იყო.

# ტ ა რ უ ( თ ა რ ი )

სვანეთში კიდევ ერთი წარმართული რელიგიური კულტია შემორჩენილი. ეს არის ტარუ. მასზე სვანებს მთლად ნათელი წარმოდგენა არ აქვთ, რაც ამ ღვთაების შორეულ წარმომავ-

ლობაზე მიგვანიშნებს. სვანები ყოველი წლის გაზაფხულზე (აპრილ-მაისში) ერთ ოთხშაბათს „ტარი ჯემაშ“-ს („ტარის ოთხშაბათს“) გარკვეულ რიტუალს ასრულებდნენ. ეს რელიგიური დღესასწაული საქონლის გამრავლებას ეძღვნებოდა. ოთხშაბათ საღამოს ოჯახი დიდ პურს გამოაცხობდა. ოჯახის უფროსი („მახვში“) მას პირუტყვის სადგომში გაიტანდა და იქ ღვთაება „ტარის“ შეულოცავდა. შემდეგ ამ პურს ოჯახში რამდენი სულიც იყო იმდენ ნაწილად დაჭრიდნენ და ყველას გაუნაწილებდნენ.

„ტარუ“ ხეთური ღვთაება იყო. იგი ვეგეტატიური ღვთაების ტელეფინუს მამას ერქვა. ნიშანდობლივია, რომ სვანურში არსებობს, აგრეთვე რელიგიური ხასიათის რიტუალი „მელია-ტელეფია“. ეს რიტუალი ბუნების გამოღვიძება-აღორძინებას ეძღვნება. ხეთური მითის მიხედვით მსხვერპლშეწირვა ხდება ღვთაება ტელეფინუს სახელზე. შეწირული ცხოველის, ვერძის ტყავს მარადმწვანე ხე აია-ზე კიდებდნენ (შდრ. კოლხეთის ძველი სახელწოდება „აია“, შუმერული და სვანური ღვთაება „აია“ და ვერძის ტყავის მუხაზე ჩამოკიდების ძველკოლხური წესი). სვანებიც „მელია-ტელეფია“-სადმი მიძღვნილ დღესასწაულზე დაკლავდნენ ხარს ან ცხვარს და ტყავს მუხაზე ჩამოკიდებდნენ. მუხა წმინდა ხედაა მიჩნეული.

„ტელეფინუსი“ ხეთებში ვეგეტატიური ღვთაება იყო. სვანურად „ტელეფი“, აგრეთვე ერთგვარ ბალახს ჰქვია (ქართ. ლოლო, რუსულად шевaль, Rumex). ძველ კოლხეთში, იქ სადაც მდ. ცხენისწყალი მდ. რიონს უერთდება, არსებობდა ციხე-სიმაგრე „ტელეფისი“. დღესაც კოლხეთში (სამეგრელოში) ერთი ქალაქური ტიპის დასახლებას „ხეთა“ ჰქვია, ხოლო ზემო სვანეთში (მესტიაში) ერთ სოფელს „ლე-ხთაგ“ ეწოდება, რაც სვანურად ხეთების დასახლებას გულისხმობს. სვანური „ვერ“ („მიწა“) და ხეთური „ეორ“ („მიწა“), აგრეთვე ერთმანეთის იდენტურია და სხვ.

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ტარუ (ტარი) იგივე შუმერული ღვთაება თარი იყოს. შუმერებში უპირველესი ღვთაება იყო „ან-თარ“, ე.ი.„ცის თარი“, ცის ღვთაება (შდრ. მეგრული „ჟინი ან-თარ“ — ზენა ანთარი, ზეციური თარი, ან კიდევ ხევსურული ან-ატორი, აფხაზური-„აითარ“).

ქართულში არსებული მისამღერი „თარი არალი“, აგრეთვე შუამდინარულ სამყაროსთან გვაახლოებს, რადგან „თარი“ შუმერული ღვთაებაა, ხოლო „არალი“ ქვესკნელს ეწოდებოდა, რომ-

ლის ეპითეტებია: „უკან მოუქცეველი ქვეყანა“, და სხვ. სხვათაშორის ანალოგიური თქმაა ქართულშიც: „არდაბრუნდის ქვეყანა“, რომელშიც საიქიო იგულისხმება და სხვ.

აქედან გამომდინარე, შუმერულიდან მოღწეული „თარი არალე“ უნდა ნიშნავდეს „ცისა და ქვესკნელის მეუფეს“.

## ფ უ ს ტ ი

სვანეთში დღემდე ფუნქციონირებენ „ფუსტის“ („ფუსდის“) სახელობის ეკლესიები. სვანების გაგებით „ფუსტ“ ნიშნავს უფალს, ბატონს, ქვეყნის გამგებელს, მთავარს, თავადს. მაგალითად, სვანები თავად დადეშქელიანს „ფუსტს“ უწოდებდნენ. „ბატონის“ აღმნიშვნელი სხვა სიტყვა სვანურში არ არსებობს.

ესეც ხეთებიდან მომდინარე ტერმინი უნდა იყოს. ძვ.წ. II ათასწლეულში, ხეთების სამეფოს დედაქალაქის ხატუსასის მმართველს ერქვა „ფიუსტი“.

ფიუსტი ლეგენდარული მეფე იყო. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში იგი კულტად იქცა. ყოველი წლის მაისის თვეში ქვემო და ზემო სვანეთში ფუსტის სახელობის ეკლესიებში აღნიშნავდნენ (და აღნიშნავენ დღესაც) ამ ღვთაებისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულს. ამ დღისათვის სვანები მთელი წელიწადი ემზადებოდნენ. ეკლესიაში იკვლებოდა საგანგებოდ მოვლილი ხბოები. ფუსტზე ლოცვის დროს სვანები შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ: „ღმერთო, შენ შეგვეწიე, გვაშორე ავი დროება, კარგ ზაფხულს მოგვასწარი“. შემდეგ გაშლიდნენ პურობას ეკლესიის ეზოში, რაც ცეკვა-თამაშითა და სპორტული შეჯიბრებებით მთავრდებოდა.

მდ. კოდორის სათავეებში მცხოვრებ სვანთა ერთ-ერთ ტომს მისიმიანებს (რომლებიც ახ.წ.VIII ს.-ის შემდეგ წყაროებში არ მოიხსენიებიან), ბიზანტიელი ავტორები ფუსტელებსაც უწოდებდნენ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი ფუსტის კულტის მატარებლები იყვნენ. კავკასიის სხვა ხალხები ფუსტ ღვთაებას არ იცნობენ.

ამგვარად, სვანურ ღვთაებათა პანთეონში ქრისტიანულზე უმეტესი ადგილი შუმერულ რელიგიურ კულტებს უკავიათ.

*მხატვარი* ვასილ ქვათაძე
*ტექ. რედაქტორი* ვახტანგ დოხნაძე

*შემსრულებელი* ჯანო იაშვილი

ფასი სახელშეკრულებო

შეკვ. 657 ტირაჟი 3000

გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
თბილისი, 96, მ. კოსტავას ქ. №14